

619 / 2  
1953

დროშა  
№ 9 სექტემბერი 1953  
ზიგლიროთიკა



Handwritten signature or mark in the bottom left corner.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა





საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხარული მთავრობის მიერ...

## ხალხის საკეთილდღეოდ

დიდად გაიზარდა საბჭოთა-მოქალაქის გემოვნება და მოთხოვნობა. მას არ აკმაყოფილებს მდარე, უფერული საქონელი. მას უნდა შეიძინოს ლამაზი, გამძლე და მაღალხარისხოვანი ფართო მოხმარების საგნები, შეიძინოს კარგი აბრეშუმის ქსოვილი, შალეული, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კურტლეულობა, ავეჯი და ბევრი სხვა რამ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივ საზრუნავს შეადგენს ხალხის კეთილდღეობის ამაღლება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-5 სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა აღნიშნა:

„... ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს ვაწარმოოთ კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილები, კარგი ხარისხისა და ლამაზი ტანსაცმელი, მკვიდრი და ლამაზი ფეხსაცმელი; ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს კარგად გამოვიყვანოთ ყველა საქონელი, რომელიც ხმარდება ხალხის მოთხოვნისათვის დაკმაყოფილებას.

...თვითელი საწარმოს მოვალეობაა გამოუშვას მაღალი ხარისხის პროდუქცია, მუდამ ზრუნავდეს ნაწარმის კარგი ხარისხისა და გარეგნულად კარგად გამოყვანისათვის“.

ამხანაგ მალენკოვის ამ სიტყვებს ახალი საწარმოო მიღწევებით უპასუხებენ საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოები. მუშათა კოლექტივებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, კისრულობენ ვადდებულებას გამოუშვან მაღალხარისხოვანი პროდუქცია, გაადიდონ სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტი, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

ჩვენი შურნაღის ამ გვერდზე მოთავსებულ სურათებში აახსულია თბილისის სამი მოწინავე საწარმოს — აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმელების ფაბრიკა № 2-ის და მაუდ-კამეოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს“ — შრომითი პროცესები.

1. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-5 სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად იკისრა ვადდებულება უახლოეს ხანში 5-6% -ით გაადიდოს პროდუქციის გამოშვება. დიდი ყურადღება ექცევა ახალი სახეობის ქსოვილების დამზადებას. კვალიფიციური კადრებით შევსებული ტექნიკური კონტროლის განყოფილება.

ზემო სურათზე ნაჩვენებია საფუთავი განყოფილება. წუნმღებლები ქეთო გოგიბერაშვილი (მარცხნივ) და ვალენტინა გოგავა ქსოვილებს ამოწმებენ მაღაზიებში გაგზავნამდე.

2. მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმელების ფაბრიკა № 2 ძირითადად უშვებს ბავშვისა და სპორტულ ფეხსაცმელებს. ამას წინათ სსრკ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროსთან არსებულმა სამხატვრო საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა საშემოდგომო-საზამთრო ფეხსაცმელების 17 მოდელი. აქედან 2 მოდელი უკვე ათვისებულია, ხოლო 4 ჩაშვებულია წარმოებაში. ფაბრიკის კოლექტივი ახალი მოდელების მიხედვით შეუდგა თბილსარჩულიანი ფეხსაცმელების გამოშვებას.

შუა სურათზე ნაჩვენებია შემფუთავი მ. კეველიშვილი (მარცხნივ) და კონტროლიორი ს. შახოიანი მზაფეხსაცმელების მიღებისა და შეფუთვის დროს.

3. მაუდ-კამეოლის ფაბრიკამ „საბჭოთა საქართველომ“ გაადიდა მაღალხარისხოვანი შალეული ქსოვილების — ტრიკო „რუსთავის“, „გაზაფხულის“ და „კოლხიდის“ გამოშვება. ფაბრიკის კოლექტივის ვადდებულებაა წლის ბოლომდე გეგმის ზევით მისცეს ქვეყანას 100 ათასი მეტრი შალეული ქსოვილი, დაზოგოს 18 ტონა მატყლი, ნახევარი მილიონი მანეთით შეამციროს თვითღირებულება, 400 ათასი კილოვატ-საათით შეამციროს ელექტროენერგიის ხარჯვა და დაზოგოს 800 ტონა ხაზბოი.

ქვემო სურათზე ნაჩვენებია — მზაპროდუქციით სავსე საწყობი. მალე მოხმარებულთან მივა ეს ძვირფასი ქსოვილები.

ფოტო ვლ. გინზბურგისა





ბ. ნაზროვილი

ბნელი რეაქციის თარეშის პირობებში, 1910 წლის ნოემბერში დიდი ლენინი წერდა, რომ ტოლსტოის მხატვრულ ნაწარმოებებს „მასები ყოველთვის დააფასებენ და წაიკითხავენ, როცა ისინი მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის უღელს დაახლოებენ და ადამიანური ცხოვრების პირობებს შექმნიან“.

დიდი ლენინის წინასწარგანჭვრეტა, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც ბრწყინვალედ ასრულდა. ტოლსტოის უმდიდრესი მემკვიდრეობა ფართო მასების კუთვნილება გადააქცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მათ დაამსხვრიეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის უღელი და თავისუფალი ცხოვრება დაიპყიერეს. ტოლსტოის უკვდავი ქმნილებანი ამჟამად გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა სამოცდაცამეტ ენაზე, ხოლო მისი წიგნების ტირაჟმა გადაჭარბა 47 მილიონ ეგზემპლარს. ეს უარესად მშვენიერესი ციფრებია. ისინი მოწმობენ, რომ ტოლსტოის ღრმა გატაცებით კითხულობენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხეში; ისინი პოლიანას ბრძენი მრავალ და მრავალ ათეულ ენაზე მეტყველებს დაუღალავად და მოუთხრობს საბჭოთა ხალხებს მათი უფროსი ძმის, მათი ქეთილისმყოფლის — დიდი რუსი ხალხის ცხოვრებაზე. მის სულიერ კეთილშობილებაზე, იმ მწარე და საშინელ განსაცდელზე, იმ ტანჯვაზე, რომელიც ხალხმა გამოიარა წარსული საუკუნის მანძილზე.

ლევ ტოლსტოის შემოქმედება — დიდი რუსი ხალხის კულტურის მშენებელი და სიამაყეა. ამ მწერლის მარად უჭკნობი მოთხრობები და რომანები — ესაა ცოცხალი ენციკლოპედია. ბრწყინვალე მატანე, რომელიც ბრძნული დამკვირვებლობით და გულთმბალიანობით მოგვითხრობს ხალხის სულიერ სიძლიერეზე; ეს მხატვრული მატანე რუსი ხალხის ცხოვრებისა გვაოცებს ორიგინალობითა და ბუნებრივი ფერადობებით, სურათების მრავალფეროვნებითა და ბრძნული სისადავით. ამ მატანის ყოველ ფურცელზე იგრძნობა ნათელი გაეღებება ხალხური სიბრძნისა, იგრძნობა მარჯისცემა ისტორიისა. აქ ცოცხლად და ბუნებრივადაა გადმოშლილი ადამიანის ყველაზე უფაქიზესი გრძობები. ლევ ტოლსტოი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში და ამ დროიდან, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, თითქმის მთელი სამოცი წლის მანძილზე არ მოლილია მისი კალამი. მის მთელ მუშაობას, ყოველ მოთხრობას ატყვია დაუღველი მადლი იმ დიდი შთაგონებისა, რომელსაც მას ხალხი აძლევდა. შემხარბილ უსახვგრო იყო ტოლსტოის სიტყვის გაეღენისა და შემოქმედების ძალა. და ეს სწორედ იმიტომ, რომ მას ჰქონდა ხალხის გულში ღრმად გამდგარი ფესვები. გ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ტოლსტოის შემოქმედებაში აისახა „დიდი ზღვა — ხალხი, რომელიც უდიდეს სიღრმეზე მდებარე უზირთადაა“. ლენინის ამ მეტაფორაში ამომწურავი სიზუსტითაა დახასიათებული ხალხისა და მისი ბუმბერაზი მწერალიც. ხალხი — ეს არის დიდი ზღვა, რომლის მიმოქცევა, ტალღების გრიალი, მარად დაუცხრომელი მღელვარება ცოცხალ გამოძახილს ბოლოებს ტოლსტოის წიგნთა ფურცლებზე. ამაშია მწერლის უკვდავება და სიდიადე.

დიდი ლენინი მუდამ უღრმესი სიყვარულის გრძობით წარმოთქვამდა ტოლსტოის სახელს. თავის მოგონებებში გორკიმ აღწერა ეპიზოდი, როცა ის ესტუმრა ლენინს. რევოლუციის გენიალურ ბელადს საწერ მაგიდაზე „ომისა და მშვიდობის“ ტომი ჰქონდა გადაშლილი. საუბარი ბუნებრივად ტოლსტოიზე ჩამოვარდა. ამ საუბრის დროს ლენინმა განაცხადა:

— რამხელა კლდეა, პა? რა ბუმბერაზი ადამიანია! აი, მხატვარიც ეს არის... და იცოტა, რა არის უფრო საკვირველი? ამ გრაფამდე ლიტერატურაში ნამდვილი გლეხი არცა ყოფილა“.

გორკი განაგრძობს: „შემდეგ თვალები ოდნავ მოჭუტა და მკითხა: — გინ შეიძლება ეგროპაში მის გვერდით დაეყენო? თვითონვე უპასუხა: — არავინ! და ხელების ფშვნიტით, კაყაფილიებით გაიცინა“.

ეს ლენინური შეფასება რუსი მწერლის უზარმაზარი მხატვრული მემკვიდრეობისა ნათლად გვიჩვენებს, რომ ტოლსტოი დგას მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში, როგორც ყველაზე უმაღლესი მწვერვალი. ის დიადია ისევე, როგორც ქვეყანა, რომელმაც წარმოშვა და ცხოვრების მემატანედ აქცია. თავისი მართლად ეპიკური სილალით, ხალხური სიბრძნით, შთანაფქრის სიმწყობითა და ნაციონალურ ხასიათთა გამოკვეთის მონუქმენტურობით მას დასაჯელთში ბადალი არ მოეპენება. ამ მხრივ მისი გენია ყველაზე ძლიერი, კაშკაშა ბრწყინვალეებით არის გარეშოსილი.



ლ. ნ. ტოლსტოი

მხატვარი ი. რეპინი.

გვიან დამთავრდა, ვიდრე ეს პერიოდი დაიწყებოდა და დამთავრდებოდა, მაგრამ ლ. ტოლსტოი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, სასესტო ჩამოყალიბდა სწორედ ამ პერიოდში, რომლის გარდასვალში ხასიათმა წარმოშვა ტოლსტოის ნაწარმოებთა და „ტოლსტოველობის“ ყველა განმასხვავებელი თვისება“.

ეს იყო ფრიალ რთული პერიოდი რუსეთის ისტორიაში. გლეხთა მასები ისტორიული მოქმედების ასპარეზზე გამოდიოდნენ. ე. წ. „საგლეხო რეფორმის“ შემდეგაც რუსეთი ნახევრად ბატონყმური ქვეყანა იყო და გლეხობა იბრძოდა მემამულეთს, შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის დასანგრევად, მეფის თვითმყრობელობის დასამხობად. ამ მხრივ ტოლსტოიმ შესანიშნავად გამოხატა გლეხთა ფართო მასების პროტესტისა და გულსწყურების სტიქიური გრძობა, მაგრამ იმავე დროს ტოლსტოის ქმნილებებში გამოჩნდა გლეხთა მოძრაობის არა მარტო სიძლიერე, არამედ მისი შეზღუდულობაც. ლენინი ამიტომ აღნიშნავდა, რომ წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებში მარტო მისი პირადი წინააღმდეგობანი კი არ არის, არამედ იმ უარესად რთული წინააღმდეგობრივი პირობების, სოციალური გაეღენების, ისტორიული ტრადიციების ასახვაა, რომლებიც განსახვავდნენ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასისა და სხვადასხვა ფენის ფსიქოლოგიას რეფორმის შემდეგდროინდელ ეპოქაში, ვიდრე პირველ რევოლუციამდე.

ლენინმა გენიალურად ახსნა ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების ღრმა შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც გაპირობებული იყო იმ დროის ვითარებით. ლენინი აღნიშნავდა, რომ ტოლსტოის მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებაში, ერთი მხრივ, ჩანს გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებებიც. მის ქმნილებებში მხილველი და გამათარხნეულია გაბატონებული წოდების სიცრუე და სიყალბე, მოცემულია კაპიტალისტური ექსპლოატაციის დაურიღებელი კრიტიკა, მეორეს მხრივ კი აქვე გვხვდება ქადაგება, რომ „ბოროტებს წინააღმდეგობა არ გაეწიოს“.

დემოკრატიული, პროგრესული მისწრაფებების ჩანასახებს ვხვდებით ტოლსტოის უკვე პირველსავე ნაწარმოებში „ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე“. ამ ტრილოგიის მთავარი გმირი — ნიკოლენკა ირტენევი უკვე ყრმობის წლებში დააკვირდება რა დაჩაგრული შინაყმების ცხოვრებას, ამჩნევს, რომ ისინი უკმაყოფილონი არიან ბატონებით, მათ სძულთ ბატონები; გაიხსენეთ რაოდენი სიმპათიითა და სიყვარულითაა დახატული შინაყმა ქალის — მამას სახე. რატომ უნდა დაბადებულიყო შინაყმად ეს მშვენიერი ქალი, ნათელი ცისფერი თვალებით, ქერა კულულებით — ფიქრობს ყრმა ნიკოლენკა და ამ უსამართლობის ახსნა ვერ მოუძებნია. სიჭაბუკის წლებში ირტენევი უნივერსიტეტში ხვდება სტუდენტ-რაზნოჩინელებს, მაგრამ იმდენად ძლიერია ირტენევის ბუნებაში არისტოკრატიული მსოფლშეგანება, რომ გადაჭრით ვერ დგება ხალხის მხარეზე.

ლ. ტოლსტოის იდეური ევოლუციის გზაზე „სევასტოპოლის მოთხრობები“ იყო წინ გადადგმული ნაბიჯი. აქ მწერალი უკვე ხალხის უაგულში ტრიალებს. აქ მას სმის ხალხის უაგულითადესი მისწრაფებანი, მისი წინებრივი ძლიერების იტება, მისი უკვდავი და დაუძლეველი პატრიოტიზმი. ლევ ტოლსტოი, როგორც ოფიცერი, თვითონაც იბრძოდა სევასტოპოლში იმ სახელოვანი რუსი ადამიანების მხარდამხარ, რომლებიც სიცოცხლის ფასად იცავდნენ სამშობლოს. ამრიგად, მწერალმა საკუთარი თვლით იხილა უზარალო რუსი ჯარისკაცების ცხოვრება, მათი თავდადება, მათი უშიშრობა და ზღაპრული სიამაყე. ამ წიგნში ჩვენს თვალწინ სახალხო რუსეთთა გადაშლილი, ამიტომაც იყო, რომ „სევასტოპოლის მოთხრობებში“ უძლიერესი შეგავლენა მოახდინეს. პანაევის მოწმობით, ამ წიგნს გამოსვლისთანავე დაეწავა მთელი რუსეთი. მან შთაბეჭდილება მოახდინა თავისი რეალისტური სიმაფრით, თავისი სიმართლით. მოთხრობა „სევასტოპოლი მაისში“ ტოლსტოიმ შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „ამ მოთხრობის გმირია სიმართლე, რომელიც მთელი ჩემი არსებით მიყვარს, რომლის ასახვასაც მე ვცდილობდი მთელს მის მშვენიერებაში და რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება მშვენიერი“.

ეს მთავარი გმირი ტოლსტოისა — მარად მშვენიერი სიმართლე — ანიჭებს „სევასტოპოლის მოთხრობებს“ წარუშლელ მომხიბლველობას. მწერალი უძლიერესა საღებავებით ხატავს რუსი ხალხის პატრიოტულ გზუნებარებას, რუსი გლეხის ქედუხელობას და სიმტკიცეს თვით საშინელი განსაცდელის დროს. გვიჩვენებს რა სევასტოპოლის ბასტიონების გადათხრილ, სისხლით მორწყულ, კვამლში გახვეულ მიწას, ვაეთრებულ ბრძოლებს, ტოლსტოი დასაკვნას:

ყოველი შემოქმედის სიდალდე განზომება იმით, თუ რაოდენ ღრმად წვდობს იგი თავის ეპოქას, რაოდენ ნათლად ხედავს თუ საით მიდის ისტორია, რაოდენ ზუსტად გვაძლევს ხალხის ცხოვრებისა და სულიერი სამყაროს ანალოზს ამ მხრივ ტოლსტოიმ ჭეშმარიტად განსაცვიფრებელ სიმაღლეს მიაღწია. მან ისე მართლად დახატა თავისი ეპოქა, ის მობრუნება პერიოდი რუსეთის ცხოვრების ისტორიაში, როცა პირველი რევოლუცია მზადდებოდა, ისე ცოცხლად ახსნა ამ ეპოქის მთელი თავისეურობანი, რომ ლენინმა მას „რუსეთის რევოლუციის სარკე“ უწოდა. ლენინი აღნიშნავდა: „ეპოქა, რომელსაც ეკუთვნის ლ. ტოლსტოი და რომელიც შესანიშნავად სიცხადით ახსნა როგორც მის გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე მის მოძღვრებაში. არის 1861 წლიდან 1905 წლამდე განვლილი ეპოქა. მართალია ტოლსტოი ლიტერატურული მიღწევათა უფრო ადრე დაიწყო და უფრო



„მაშ ასე, თქვენ ნახეთ სევასტოპოლის დამცველები თვით დაცვის ადგილზე... მთავარი სასიხარულო რწმენა, რომელიც იქიდან წამოიღეთ, ეს ის რწმენაა, რომ სევასტოპოლის აღება შეუძლებელია, არა მარტო სევასტოპოლის აღება, არამედ, სადაც უნდა იყოს, შეუძლებელია რუსი ხალხის ძალის შერყევა, — და რომ ეს შეუძლებელია, თქვენ ნახეთ არა ამ უამრავ, ერთიმეორეზე მიყრილ ტრავერსებში, ბრუსტერებში, მოხერხებულად გადახლართულ საწარებში, ნაღმებსა და ქვეშევრდებში, არამედ ამ ჯარისკაცთა თვალებში, სიტყვებში, ქცევაში და იმაში, რასაც სევასტოპოლის დამცველების სული ეახიან. რასაც ისინი აკეთებენ, აკეთებენ უბრალოდ, დაუძაბავად და მცირე ძალის დახარჯვით, და თქვენ რწმუნდებით, რომ მათ კიდევ ასჯერ მეტის გაკეთება შეუძლიათ... ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ.“

ეს რწმენა უბრალო აღმინანების ძლევამოსილები-სა — თავიდან ბოლომდე გასდევს „სევასტოპოლის მოთხრობებს“.

ყირიმის ომის შემდეგ, 1856 წელს ტოლსტოი აქვეყნებს თავის „მემამულის დილას“, რომელშიაც უკვე მძაფრად აღმნიშნული სოციალური უსამართლობა ბატონყმური ცხოვრებისა. აქ მწერალი თანდათან უფრო მარჯვდებოქლობს საჭირო საღებავებს იმ სიძულვილის გამოხატავად, რომელიც დაკრძალულია გლეხობის გულში მემამულეთა მიმართ. ამ მოთხრობის პერსონაჟების — იუზენკას, დავიდკას და სხვათა პროტესტი ჯერ ისევ სტიქიურია, მაგრამ უკვე იგრძნობა, რომ მათი შემდგომი ნაბიჯები უფრო გაბედული იქნება, ისინი უფრო თამამად გამოვლენ მემამულის წინააღმდეგ, უფრო აშკარად შეებრძოლებიან უსამართლო კანონს, რომელიც მათ ცხრა პირ ტყავს აძრობს. ამ ნაწარმოებში მძაფრად ჩანს ის „ფხიზელი რეალიზმი“ და „ყველა და ყოველგვარ ნიღაბთა ჩამოღება“, ჩანს ის თვისებები, რომელთა გამო ლენინმა ტოლსტოის გენიალური მხატვარი უწოდა. მაგრამ ამავე წლებში ტოლსტოის შემოქმედებაში უკვე აღდება ის მოტივებიც, ის განწყობილებებიც, რომელთა გამო ტოლსტოი წარმოგვადგება როგორც აღმინანი, რომელიც „თავს იგლახავებს ქრისტეს გულისთვის“, ტირის და ლოცულობს, რეზონირებს და უნიადგოდ ოცნებობს. ეს ორი მოპირისპიერ მხარე ტოლსტოის შემოქმედებაში — ერთი მხრივ, დაუცხრომელი ბრძოლის პათოსი, მრისხანე მხილება ჩაგვრის სამყაროსი, მეორე მხრივ — ქრისტიანული შერიგება, ლენინის განსაზღვრით იმ „წინააღმდეგობრივი პირობების გამო-ნატულება, რომლებშიც ჩაყენებული იყო XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის რუსეთის ცხოვრება“. მებრძოლი პათოსი ტოლსტოისა, მრისხანე, გამანჯღვრებელი მხილება მემამულური წყობილებისა, თვითმპყრობელობისა, ეკლესიისა — წარმოშვა და განაპირობა გლეხურმა მოძრაობამ, ხოლო ამ მოძრაობის სუსტმა მხარეებმა — პატრიარქალური სოფლის ჩამორჩენილობამ განაპირობა ტოლსტოის მოძღვრება „ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაუწიოთ“. ტოლსტოის ადრინდელ ქმნილებათაგან ამ მხრივ აღსანიშნავია „სამი სიკვდილი“ (1858 წ.), რომელსაც მკითხველი სოციალური საკითხების სფეროდან რელიგიური განსჯის სფეროში გადაჰყავს.

ლ. ნ. ტოლსტოის სახლმწიფო მუზეუმი მოსკოვში.



ლევ ტოლსტოი, როგორც გენიალური მხატვარი, გლეხკაცობის დიდი ქომაგი და მოსარჩლე უფრო ძლიერად ჩანს, უფრო მძაფრად იმალეებს ხმას მოთხრობაში „პოლიკუშკა“ (1861 — 1862 წ.). ესაა უბრწყინვალესი შედევრი ადრინდელი ტოლსტოისა, ნაწარმოები, რომელმაც გააშიშვლა, სააშკარაოზე გამოიტანა და საქვეყნოდ ამხილა ბატონყმური ცხოვრების ჯოჯოხეთი და იმავე დროს გამოხატა პატრიარქალური სოფლის შინი და სიძულვილი ახალი ძალისადმი — ფულისადმი, რომელიც პოლიკუშკას დაღუპვის საბაზი ხდება. ამ მოთხრობის შესახებ ტურგენევი წერდა ფეტხ: „თქვენი წასვლის შემდეგ წაიკითხეთ ტოლსტოის „პოლიკუშკა“ და მე გამოვი-ამ ვეებერთელა ტალანტის ძალამ... არის ფურცლები, რომლებიც ჭეშმარიტად განაცვიფრებენ ადამიანს“.

1862 წელს ქვეყნდება ტოლსტოის „ყაზახები“, რომელიც მოწმობს, რომ მწერალი იმ დროისათვის უფრო ღრმად ჩასწვდენია ხალხის ცხოვრებას; აქ დაპირისპირებულია ორი ქვეყანა: არისტოკრატების სამყარო — თვალთმაქცობის, უქმობის, პარაზიტების სამყარო და მეორე მხარეს — ხალხი, რომელიც თავისი შრომით ქმნის ცხოვრების ყველა სიკეთეს. ტოლსტოი მთელი სულითა და გულით ხალხის მხარეზეა, ის სულიერად უკვე აღარ ეკუთვნის იმ წოდებას, რომელმაც წარმოშვა — სცილდება თავის კლასის ფარგლებს და უფრო შორს იხედება. ამავე ხანებში ის გამოდის როგორც დაუღალავი მამხილებელი მემამულისა და კაპიტალისტისა. მან უკვე კარგად იცის, რომ კაპიტალიზმს ახალი ბოროტებები მოაქვს ხალხისთვის. „მე ვერ ვგრძნობ, — ამბობდა ტოლსტოი, — რომ მეუბარები და მოვიკიდებოდა მუშისადმი უფრო აღამიანური იყოს, ვიდრე მემამულის დამოკიდებულება ყმაგლეხისადმი“. ტოლსტოი გადაჭრით ემიჯნება გაბატონებულ კლასებს და აცხადებს, რომ ამიერიდან უნდა მოუსინოს „ხალხის ძლევამოსილ ხმას“. მან კარგად იცის, რომ სამშობლო — ეს ხალხია და არა უფქსავატი არისტოკრატია, რომელიც თავის ენაზე ლაპარაკს არ კადრულობს. მან კარგად იცის, რომ ქვეყნისა და სამშობლოს დამცველი მარტო ხალხია. ამ დიდებული სიმართლითა და უკვდავი ჭეშმარიტებით გამსჭვალული იწყებს მწერალი მუშაობას თავის გრანდიოზულ ეპოპეაზე — „ომსა და მშვიდობაზე“.

ლევ ტოლსტოის ამ ეპოპეაში ჩანს რუსი ხალხი მთელი თავისი ძლევამოსილებით, აქაა ნაჩვენები, რომ ნამდვილი რუსეთის განსახიერება არა პეტერბურგის სალონი, სადაც ქარაფულთა თავადი ვასილი და ფრედინა ანა პავლოვნა შერევი მარტო თავის განსართობად და სალაღობოდ ლაპარაკობენ „სამშობლოზე“ და „პატრიოტიზმზე“, არამედ ნამდვილი რუსეთი — ეს გლეხობაა, და სამშობლოს სიყვარულსაც მარტო ხალხის გულში აქვს უცხვები ისე ღრმად გამჯდარი, რომ მისი შერხევა არ შეუძლია არავითარ ნაპოლეონებს, არავითარ თავდასხმელებს.

რომანის ცენტრში დგას ხალხი — ის აშენებს რუსეთს, ის იცავს მას; და თვითონ ანდრეი ბოლკონსკი, ნატაშა როსტოვა, პიერ ბეზუხოვი მკითხველის სიყვარულს იმიტომ იმსახურებენ, რომ ამ დიდი ომის პროცესში, ომის პირობების წყალობით უახლოვ-



ლ. ნ. ტოლსტოის ლიტერატურული მუზეუმი ერთ-ერთი დარბაზი მოსკოვში.


დებიან ხალხს და მის სულისკვეთებას იზიარებენ. ზემოთაღნიშნული წინააღმდეგობის გამოხატულებას ამ რომანშიც ვხვდებით. ფატალიზმის, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწყობის კონკრეტულ სახედ აქ გამოყვანილია პლატონ კარატაევი; ის მზადაა შერიგდეს ყველა ბოროტებას ქვეყნისა, მაგრამ რომანში მას როდი ეკუთვნის მთავარი ხმა. მთავარი აქ ხალხური რუსეთია — დაუძლეველი, ბუმბერაზი, აქტიური, მუდამ მოქმედი და ფხიზელი.

ვ. ი. ლენინის აღნიშნავდა, რომ „ანა კარენინა“ მოცემულია 1861 — 1905 წლების პერიოდის ყველაზე უფრო მარჯვე დახასიათება; მწერალმა ამ ნაწარმოებში „მეტად მკაფიოდ გამოხატა, თუ რა შედეგად რუსეთის ისტორიის უცვლელბის ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში“. ამ რომანში ტოლსტოიმ ამხილა მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების სიყალბე და გახრწინლება; „ანა კარენინა“ იყო ახალი ნაბიჯი წინ რეალიზმის ისტორიაში. კოს-მოპოლიტური და ფორმალისტური კრიტიკის წარმომადგენელთა „თორია“, თითქოს ტოლსტოიმ თავის ამ ნაწარმოებში შეათავსა ტრადიციები ფრანგული „ადიულტერი“ რომანისა და ინგლისური „საოჯახო რომანისა“ — ცხადია, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. რომანის ცენტრში დგას არა „ადიულტერი“, არამედ გაღვივებული პიროვნება ქალისა, რომელსაც სული ეხუთება ატმოსფეროში. კარენინის ოჯახში ანას არ შეუძლო ეპოვნა ის სიყვარული, რომელიც ამაღლებს ადამიანს; პირიქით, იქ ქალი ყოველ წუთში გრძნობდა თავის ადამიანურ ღირსებათა შეურაცხყოფას. ანას ბედნიერება ვერ მიანიჭა ვერც ვროსნიკი, რადგან ეს უკანასკნელიც ღვიძლი შვილი იყო ფარისევლური არისტოკრატული წოდებისა. ყოველივე ამან განაპირობა ანა კარენინას ტრაგედია, რომელიც ესოდენ მძაფრად დახატა ტოლსტოიმ.

ლევ ტოლსტოის შემოქმედების შინაგანმა წინააღმდეგობებმა ყველაზე მძაფრად იჩინეს თავი რომანში „ადღვამის“ (1889 — 1899 წ.) აქ სასტიკად მხილებულია ოფიციალური ეკლესია, მეფის მოხელეთა თვითნებობა და არაადამიანურობა, გამათრახებულა მთელი თვითმპყრობელობური რეჟიმი, მაგრამ აქვეა ის ფატალიზმიც, რომელიც არ უთავსდება რომანის მებრძოლ პათოსს. ტოლსტოიმ ამ ნაწარმოებით საქვეყნოდ განაცხადა, რომ თვითმპყრობელობური რეჟიმი აგებული იყო ძარცვაგლეჯაზე, ხალხის საშინელ ჩაგვრაზე.

ლევ ტოლსტოიმ უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა არა მარტო რუსული, არამედ მთელი მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიაზე. მან ახალ საფეხურზე აიყვანა რეალისტური პროზა, აქცია იგი უადრესად ქმედით ძალად. საბჭოთა ხალხი უღრმესი სიყვარულითა და სიამაყის გრძობით იხსენებს ტოლსტოის სახელს. მისი უზარმაზარი მემკვიდრეობა ამდღერებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა კულტურის დიად საგანძურს.





## ახალგაზრდა ოსტატები

ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობის ამბავი ბორის ვაშაკიძემ თავის სოფელ დიდ ჯიხაში გაიგო. მაშინ ბორის 15-16 წლისა თუ იქნებოდა. ზოგიერთმა მისმა მეზობელმა გადაწყვიტა სამუშაოდ წასულიყვნენ ქუთაისის ავტოქარხანაში.

— მეც ოსტატი უნდა გახდებოდა, — ეუბნებოდა ბორისი მშობლებს — მეც მინდა კარგად დავეუფლო ავტომანქანას, შევისწავლო მისი ყოველი დეტალი.

მშობლებს, ხელი არ შეუშლიათ მისი სურვილისათვის. გზა დაუღოცეს და ქუთაისისკენ გამოისტუმრეს.

ბორისი ქარხნის საბუნიკლო საამქროში მოწაფედ ჩარიცხეს. ახალმოსული კარგად მიიღეს. მისთვის მზრუნველობა არ დაუკლიათ. ბორისი საქმის დიდ სიყვარულსა და გულმოდგინებას იჩენდა. ყოველგვარ დავალებას პირნათლად ასრულებდა. სულ მალე ახალგაზრდა ზეინკალმა ამხანაგებისა და უფროსების საერთო სიყვარული დაიმსახურა.

დაიწყო ბორის ვაშაკიძის დამოუკიდებელი ცხოვრება. რამდენიმე ხნის შემდეგ ქარხნის ხელმძღვანელობამ კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოსკოვის „ზისის“ ქარხანაში მიავლინა ბორისი. იგი სამი თვის განმავლობაში სწავლობდა ავტომანქანის აწყობის საქმეს და ისე დაეუფლა ამ სპეციალობას, რომ მომწიფებულ ოსტატს აღარ ჩამორჩებოდა.

მაგრამ ბორისი ერთი ვიწრო სპეციალობით არ დაკმაყოფილდა. მას ახლა თავისუფლად შეუძლია ავტომანქანის უკანა ხიდის დადგმა, სააბრუტო სისტემის დაყენება და სხვ.

ბორის ვაშაკიძეს არასოდეს არ დაევიწყებია 1951 წლის 18 აგვისტო, ის დღე, როდესაც ქუთაისის ავტოქარხანამ თავისი პირველი პროდუქცია გამოუშვა. ქარხნის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მთავარი კონვეიერიდან პირველი ავტომანქანა მოწინავე მუშას — ბორის ვაშაკიძეს ჩამოეხსნა.

მას შემდეგ მრავალმა ავტომანქანამ გაიარა მის ხელში. ბორისმა კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი ცოდნა, გაიმდიდრა გამოცდილება. მან თავისი უმცროსი ძმა — ზურაბიც ჩამოიყვანა ქუთაისში და ავტოქარხანაში მოაწყო სამუშაოდ.

— რაც შეეხება ზურაბ ვაშაკიძეს, — თქვა საამქროს უფროსმა, — ის ყველაზე ახალგაზრდა მუშაა ჩვენს ქარხანაში, მაგრამ თავისი ოსტატობით უფროს მძის არ ჩამოუვარდება. ზურაბს განზრახული აქვს იმუშაოს და ისწავლოს კიდევაც. ჩვენ მას ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს.

ბორისი და ზურაბი ამჟამად ერთ საამქროში მუშაობენ. ისინი ერთად სტეფენ ქუთაისის მარკის მანქანებს.

\* \* \*

დაზგასთან დგას შავგვრემანი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა. ეს შოთა კალაძეა. მას მეტად საპასუხისმგებლო საქმე აბარია. ავტომანქანის ერთ-ერთი მთავარი ნაწილის — წამყვანი კონუსური კბილანის დამზადება, არც ისე იოლი საქმეა. ხუთი კაცი მუშაობს კალაძის მეთვალყურეობის ქვეშ. კონუსურმა კბილანამ საბოლოოდ კალაძის ხელში უნდა გაიაროს და სათანადო დაზარისხებისა და გამოცდის შემდეგ წარმოებას უნდა გადასცეს. გეგმის მიხედვით ქარხანას დღეში 150 ცალი წამყვანი კბილანა უნდა ჩაბარდეს, მაგრამ კომკავშირული შოთა კალაძე და მისი ამხანაგები 500-600 ცალით აჭარბებენ გეგმას.

ფოტოზე — ზემოთ: ამწყობი ძმები ბორის (მარცხნივ) და ზურაბ ვაშაკიძეები მთავარ კონვეიერზე. ქვემოთ: ახალგაზრდა სტახანოველი შოთა კალაძე.

ფოტო პ. ლუცენკოსი




მიმდინარე წლის აგვისტოში, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ახალგაზრდებისა და სტუდენტთა მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი. ახალგაზრდობის ეს დღესასწაული იქცა მნიშვნელოვან ეტაპად ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

ფესტივალზე მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობამ მოახდინა ერთიანობისა და დარაზმულობის, მშვიდობისადმი განუხრელი სწრაფვის მძლავრი დემონსტრაცია.

ფოტოზე: ზემოთ — ფესტივალის აღამის აღმართვა.

დგანან ხუთი დიდი სახელმწიფოს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირის და ჩაშუ-შის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

ქვემოთ — სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დელეგაცია პარადზე.







საბჭოთა ქვეყნის თანაწირობის ხალხთა მტკიცე და ურყევი მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ეს მეგობრობა დღით დღე იზრდება და მტკიცდება.

კიდევ უფრო გამაძლიერებელი ხალხთა მეგობრობა დიდი სამამულო ომის მკაცრ დღეებში, როცა ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად თავდადებითა და გმირულად იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მტკიცდებოდა და იწრებოდა ხალხთა მეგობრობა ზურგშიაყ ომის წლებში, როცა საზოგადოებრივი კავშირის კალთების მოადკა და უკვე ამიერკავკასიის კიდევ უფრო შექმნილობის მიზნით, სომხეთის და აზერბაიჯანის ხალხები კიდევ უფრო შექმნილობის მიზნით, სომხეთის და აზერბაიჯანის ხალხები დახმარებას არ აკლებდნენ ერთმანეთს.

გერმანელი დამპყრობლების მიერ დონბასის დროებითი ოკუპაციის გამო ერევნის ერთ-ერთ უდიდეს ქარხანას სპეციალური მარკის ნახშირი შემოაკლდა. როგორც კი ეს ქართველმა მალაროელებმა გაიგეს, იმწამსვე დახმარების ხელი გაუწოდეს მოძვე სომხეთს. სხვა საწარმოებისათვის ნახშირის მიწოდების გრაფიკი რომ არ დაერღვით, ტყვარჩელის მალაროელები ნახშირის ამოდებას შეუდგნენ ერევნელი მეგობრებისათვის შედგენილ საათებში.

ამიერკავკასიის ხალხების ეს ძმური მეგობრობა, მჭიდრო ურთიერთობა და ერთმანეთის დახმარება გამოვლინებულია ჩვენს დროში საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ერთი რესპუბლიკის ქარხნები, ფაბრიკები, ახალი მშენებლობანი მჭიდრო შემოქმედებით და სამეურნეო ურთიერთობაში არიან მეორე რესპუბლიკის საწარმოებსა და მშენებლობებთან. ასე, მაგალითად, თბილისის მანქანათმშენებლები საგარეო დახმარებას უწყვენ აზერბაიჯანის ჩაისმრეწველობის განვითარებას. თავის მხრივ, ბაქოს მანქანათმშენებლები ეხმარებიან საქართველოს ნავთობმრეწველობას ტექნიკური აღჭურვილობის საქმეში. ლიხთაძის მრეწველობისათვის საქართველოდან სომხეთში იგზავნება მანქანები და დაზვები. თავის მხრივ, სომხეთი უგზავნის მოძვე რესპუბლიკებს შესანიშნავ სამშენებლო მასალას.

მჭიდრო შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს ერთმანეთთან ჩვენი ქვეყნის უდიდესი ქიმიკოსებისა და მედიკოსების — მინერალის პეტის (აზერბაიჯანი) და გუმიშ-პეტის (სომხეთი) მშენებელ კოლექტივებს. რამდენიმე წელიწადი იქნება ასეთივე მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ქუთაისის, კიროვადისა და ლენინაკანის საფეიქრო კომბინატების კოლექტივებს.

ამას წინათ ქუთაისელმა ფეიქრებმა გულთბილი წერილი მიიღეს კიროვადის საფეიქრო კომბინატის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან. კიროვადელთა ქუთაისელებს შესთავაზეს წელსაც განეახლებიათ ტრადიციული შეჯიბრება. აზერბაიჯანელი ფეიქრების გამოწვევა განხილულ იქნა ქუთაისის აბრეშუქმომბინატის ყველა საამქროში. ქუთაისელმა ფეიქრებმა პირობა დადეს, რომ წლიურ გეგმას შეასრულებენ 21 დეკემბრისთვის და გეგმის ზევით გამოუშვებენ 6 მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქციას.

ქართველი ფეიქრები ღირსეულად ასრულებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებას — გეგმის ზევით უკვე გამოუშვეს 2 მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქცია. თვითღირებულების შემცირების ხარჯზე მათ უკვე გასწიეს თითქმის 2 მილიონი მანეთის ეკონომია.

სტახანოვური მუშაობის კარგ მაგალითებს გვიჩვენებენ ლენინაკანის და კიროვადის ფეიქრებიც.

ძმურ მეგობრობას თბილისისა და ამიერკავკასიის რკინიგზის ალიათის განყოფილების მემანქანეებს შორის დიდი სარგებლობა მოაქვს საერთო საქმისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ ალიათის განყოფილების მემანქანე სოროკინის ბრიგადამ ლენინაკანიდან სალიანში წაიყვანა მატარებელი, რომლის წონა 1.135 ტონით აღემატებოდა ნორმას.

მარტო ერთი თვის განმავლობაში კარადანლის დეპოს მემანქანეებმა გააძლიერეს ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო გარბენა 6,3 კმ-ით და 163 ტონა საწვავის ეკონომია გასწიეს.

დიდ წარმატებებს აღწევინ სოცშეჯიბრებაში ჩაბმული ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა და ერევნის ქარხნის „ავტოდეტალის“ კოლექტივები, ქუთაისელები იბრძვიან წლიური გეგმა შეასრულონ 102 პროცენტით, კონსტრუქციის დღისათვის დაამთავრონ ავტოთვიომცლულების გამოშვების გეგმა, გააძლიერეს შრომის ნაყოფიერება გასულ წელთან შედარებით 42,2 პროცენტით და თვითღირებულება 25 პროც. შეამცირონ.

ფართოდ გაიშალა შეჯიბრება ერევნის ქარხანა „ავტოდეტალშიც“. ასევე მჭიდრო ურთიერთობაში არიან საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მეტალურგები. რუსთავის მეტალურგებმა ამხანაგური წერილით მიმართეს აზერბაიჯანის ყველაზე ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქ სუმგაიტის სტახანოველებს წინადადებით სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. რუსთავის მეტალურგების მაგალითს მიბაძა ზესტაფონის ფეროშენადნობის კოლექტივმა, რომელმაც ასეთივე წინადადებით მიმართა სომხეთის სპილენძისმდნობელებს.

მეტალურგების შეჯიბრება ამჟამად მიმდინარეობს მეტალურგების დარგში პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ ამოცანათა შესრულების ნიშნის ქვეშ.

«ალავერდის სპილენძისმდნობელები და სუმგაიტისა და რუსთავის მეტალურგები ღვიძლი ძმები არიან» — ასე ამბობენ სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგული ქარხნის მუშები და სპეციალისტები.

საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ნათელ სურათს იძლევა აგრეთვე კოლმეურნე გლეხობის ურთიერთობა.

ყოველწლიურად იზრდება და მტკიცდება კავშირი საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების სასოფლო-სამეურნეო არტელისა და სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის სოფ. ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებს შორის. საქართველოს და სომხეთის მოძვე რესპუბლიკების ამ ორ კოლმეურნეობაში წლების მანძილზე აღიზარდა თავისი საქმის მცოდნე ბევრი ოსტატი. მათ შორის საუკეთესოებს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება და მთავრობის ჯილდოები მიენიჭათ.

მთელ საბჭოთა კავშირში სახელი გაითქვა ქართველმა მეჩაემ, სოციალისტური შრომის გმირმა დარეჯან ტაკიძემ, სოფ. ნატანების კოლმეურნეობის მერგოლურმა. საწარმოო მუშაობის გაუმჯობესებელი მეთოდების გამოყენების შედეგად დ. ტაკიძე თავისი ნაკვეთიდან ჰკრეფს აურაცხელ ჩაის მწვანე ფოთოლს. დ. ტაკიძის გარდა შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ცნობილი ბრიგადირი ვ. გორგილაძე, მეჩაიეები: ვ. ჩავლეიშვილი, ლ. გოციაშვილი, ლ. ხურციძე, ე. ჯაბუა — თვითუღ მათგანს მკერდს უმწვენებს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი.

სომხეთის კოლმეურნეები ამჟამებზე მოძვე ქართველი მეჩაეებით და მუდმივ ურთიერთობაში არიან მათთან.

1953 წელს განახლებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში სოფ. ნატანების კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს მიმდინარე წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1770 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი, — 270 ტონით მეტი, ვიდრე 1950 წელს. თავის ვალდებულებებში ქართველმა კოლმეურნეებმა პირობა დადეს აგრეთვე გააძლიერონ მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოსავლიანობა. ნატანებლებმა ვალდებულება აიღეს მეხუთე ხუთწლიური უკანასკნელ წელს სახელმწიფოს ჩააბარონ 15 მილიონი ციტრუსი. მთელი რიგი ვალდებულებები აიღეს ნატანებლებმა მესაქონლეობის განვითარების დარგშიც.

თავის მხრივ, ნალბანდიანის კოლმეურნეებმა პირობა დადეს წელს აიღონ და სახელმწიფოს ჩააბარონ მაღალხარისხის ბამბა. მათ განზრახული აქვთ თვითუღი ჰექტარიდან საშუალოდ 30 ცენტნერი ბამბა მოკრიფონ. ასევე სოფ. ნალბანდიანის მევენახეები დაპირდნენ ქართველ ამხანაგებს თვითუღი ჰექტარიდან 70 ცენტნერი ყურძენი აიღონ, თვითუღ ძროხას 1000 ლიტრი რძე გამოწველონ, ბოსტნის თვითუღი ჰექტარიდან საშუალოდ 200 ცენტნერი ბოსტნული აიღონ.

წელს სოცშეჯიბრების ხელშეკრულება დადებულია ახალციხის რაიონის სოფ. ველის მახარაძის სახელობის არტელსა და ოქტემბერიანის სოფ. მრგაშატის კოლმეურნეობას შორის. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირობა დადეს წელს 470 ჰექტარ ფართობიდან თვითუღ ჰექტარზე მოიწიონ 23 ცენტნერი პური, კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა 250 ცენტნერამდე აიყვანონ, ხილის კი — 100 ცენტნერამდე. ასეთივე მაღალი ვალდებულებები იქისრეს მრგაშატელებმაც.

მეორე წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან აზერბაიჯანის სსრ ლენქორანის რაიონის გაზეთ „პრავდას“ სახელობის კოლმეურნეობა და ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალი სოფლის კოლმეურნეობა. ამ შეჯიბრებას და ურთიერთ დახმარებას ორივე კოლმეურნეობისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს. ასე, მაგალითად, „პრავდას“ სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ხ. ნაზაროვმა, რომელიც ახალსოფელს ესტუმრა და სოციალისტური შრომის გმირის ვ. ჯოჯუას მეთოდებს გაეცნო, შარშან 4236 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა.

ამას წინათ ქართველ მეჩაეებს ძვირფასი სტუმრები ეწვივნენ აზერბაიჯანიდან. ჩაის ბირველი ბუჩქები აზერბაიჯანში გაჩნდა 1932 წელს, — განაცხადა ლენქორანის რაიონის მთავარმა აგრონომმა რ. მახმუდოვმა. — ეს ბუჩქები მოძვე საქართველოდან ჩამოტანილი თესლიდან გაგზარდეთ. შინ რომ დაგზარუნდებით, ჩვენს კოლმეურნეებს ვუამბობთ იმ მდღედა გამოცდილებაზე, რაც ჩვენს ქართველ მეჩაეებისაგან მივიღეთ“.

„მეგობრობის ბაღი“ — ასე ეწოდება ბაღს, რომელიც გაშენებულია ნახიჩევანის ასსრ ნორაშენის რაიონის სოფ. მესტაში. ეს ბაღი შექმნილია ნორაშენის რაიონის სტალინის სახელობის არტელისა და სომხეთის სსრ არტაშატის რაიონის სვერდლოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეების მეგობრობის საფუძველზე. არტაშატის კოლმეურნეებმა ნიშნად დიდი მეგობრობისა ამ ბაღის გასაშენებლად ნორაშენელებს საჩუქრად მიართვეს საუკეთესო ხეხილის 1500 ნერგი.

მჭიდრო შემოქმედებითი მეგობრობა და მყარებული ამ სამი მოძვე რესპუბლიკის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შორისაც.

ამიერკავკასიის ხალხთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ძვირფასი ნაწარმოებები რუსული ენის დახმარებით მისაწვდომი ხდება ამიერკავკასიის ყველა კოლმეურნისათვის.

ა. ბუშკინის, ლ. ტოლსტოის, მ. გორკის, ვ. მაიაკოვსკის, ტ. შევჩენკოს, ნიშამის, მ. ახუნდოვის, შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ო. თუმანიანის, ხ. აბოვიანის და მრავალ სხვათა საუკეთესო ნაწარმოები თარგმნილია ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, და ამიერკავკასიის ხალხების მსურველს სიყვარულით სარგებლობენ. ამიერკავკასიის ხალხების ენებსა და რუსულ ენაზე შექმნილია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მწერლებისა და გამოჩენილი მეცნიერების ნაშრომები. ყველა ეს მაგალითი საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მუშების, კოლმეურნეებისა და მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების მეგობრობის შესახებ ნათლად დაბარაკობს იმაზე, თუ როგორ ჰყვავის ნამდვილი ხალხთა ლენინურ-სტალინური ძმობა ჩვენს მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნებებს შორის.





ბ. პაიჭაძეს მისი ვორტუოზული თამაშით ალტაცებულმა რუმინულმა გაზეთმა „ვაზეტა სპორტურილორმა“ პირველი გვერდის ანშლაგში „უეხბურ-12, თისკარუზო“ უწოლა.

# ბ ლ რ ი ს პ ა ი ჭ ა ძ ე

კომუნოზის წერილი

დ. ყიფიანი

შარსდები ბიოგრაფიული

სტადიონის უზარმაზარი საათის მარცხნივ ეწერა: „დინამო“ მოსკოვი — 0, მარჯვნივ — „დინამო“ თბილისისი — 0. თამაშის დაწყებას ნახევარი საათი აკლდა, მაგრამ ტრიბუნები უკვე ხალხით იყო გაჭედოლი. მყურებელი ელოდა მეტად დაძაბულ და საინტერესო თამაშს. თბილისელებისათვის აუცილებელი იყო მოგება, მოსკოვის „დინამოს“ დამარცხება კი იოლი საქმე როდი იყო. დელავდა სტადიონი, ნერვულიდნენ მყურებლები.

— ეშ, სად არის ახლა პაიჭაძე? — ხმამალა წამოსცადა შუახნის კაცს, რომელიც მარტო მოსულიყო სტადიონზე და ეტყობოდა მოსაუბრეს ეძებდა.

— უმისოდაც მოვიგებთ! — იმ წუთშივე გამოეხმაურა მეზობელი, რომელსაც ტრიბუნაზე ასასვლელ კიბეზე გაზეთი გაეფინა და ზედ ჩამოვადარყო.

— შენს პირს შაქარი, მაგრამ პაიჭაძე სულ სხვა იყო, ტყუილად რომ მდგარიყო მოედანზე, მოწინააღმდეგეს მაინც ეშინოდა მისი... პროგრამა... პროგრამა! — დაუძახა მან ფეხბურთის პროგრამის გამყიდველს. სამი ეგზემპლარი იყიდა, ერთი მეზობელს მისცა, მეორე გაშალა, მესამე კი ფრთხილად დაკეცა და უბეში ჩაიდო, თანაც ხმადაბლა ჩაილაპარაკა: — ესეც ჩემი კოლექციისათვის.

— აი, პაიჭაძე!! — წამოიძახა მეზობელმა, ფეხზე წამოხტა და ქვეითკენ დაიწყო ცქერა.

— ის არის! — ავტორიტეტულად წარმოთქვა შუახნის კაცმა და ვერც კი შეამჩნია, რომ მათ გარდა მყურებელთა მთელი ჯგუფი წამოდგა პაიჭაძის დასანახავად.

ბორის პაიჭაძე მიხეილ იაკუშინის

გვერდით იჯდა. თბილისელთა გუნდის უფროსი და მწკრივნილი უხმოდ შეშუტრებდნენ მოედნის შუაგულში გამოსულ მსაჯს, თითქოს უნდოდით გამოეცნოთ, თუ რას აუწყებდა მისი სახტვენი მატჩის დამთავრებისას, — თბილისელთა დამარცხებას, თუ გამარჯვებას.

თამაში დაიწყო. დიქტორი ხმამალა აცხადებდა მოსკოველ „დინამოელთა“ გვარებს. პაიჭაძე კი გაიკონებდა თუ არა გვარს, მოედანზე თვალებით დაეძებდა იმ მოთამაშეს. აი, იაშინი, კარგი მეკარე, 1950 წლის გათამაშებაში მეორე სათადარიგო მეკარედ ითვლებოდა, ახლა კი როგორ დაწინაურებულია. აი, ნახევარდამცველი სავდუნინი — ძლიერი დარტყმები აქვს. აი, სწრაფი და საშიში ილინი, ბორისის ძველი მეგობარი, აგერ ბესკოვი... რა სახიფათოდ გაიჭრა, ბურთს აძლევს კორნუნივს, დარტყმა... ყოჩაღ, მარლანია, კარგად აიღო, — ბორისმა თავისუფლად ამოისუნთქა და ისევ კორნუნივს დაადგა თვალი. — კარგად დაარტყა... ჰო, მართლა, უეცრად რაღაც გაახსენდა ბორისს და ჯიბიდან ცისფერი კონვერტი ამოიღო.

წუხელ ბორისმა თავის ქალადებში შემთხვევით ნახა ეს წერილი. იგი დაწერილი იყო 1940 წელს მოსკოვის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდის წევრების მიერ. არასოდეს არ დაგვაფიქვდება თქვენთან შეხვედრა მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე, — სწორდნენ ბავშვები პაიჭაძეს. — ძალზე ლამაზად მოუგეთ „მეტალოურგს“, გვიპასუხეთ რატომ აღარ თამაშობენ წელს შავ-გულიძე და დოროხოვი. რამდენი ბურთი გაიტანეთ თქვენ ამ სეზონში.

გთხოვთ მოგვეწეროთ პასუხიო, და სხვ. წერილს ხელს აწერდა 11 კაცი — კისედევი, მურატოვი, მოროზოვი, პეტროვი და... კორნუნივიც — ის კორნუნივიც, რომელმაც ახლა კინალამ გაიტანა ბურთი. ბორისმა კონვერტი ისევ ჯიბეში ჩაიდო — თამაში დამთავრდება და მერე ვაჩვენებ. ვნახოთ თუ ახსოვს, — გაიფიქრა მან.

ბორის პაიჭაძეს გატაცებით უყვარს ახალგაზრდობა, ძველი, სახელგანთქმული ფეხბურთელი ამჟამად თბილისის „დინამოს“ გუნდის მწვერთელად მუშაობს. იგი ცდილობს, რომ მთელი თავისი გამოცდილება, მთელი თავისი სპორტული ნიჭი და ტალანტი ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდას მოახმაროს, ამიტომ შეშუტრებს მღელვარებით ჭკუასელებისა და კოტრიკაძის თამაშს, ამიტომ აკვირდება ლოლობერიძის თვითუღელ გარდევას და ყოველ კომბინაციას. აკვირდება და გულში ხარობს: უსტატდება ახალგაზრდობა, თანდათან იწრთობა ბრძოლებში და მათ დასტატებაში თავისი წვლილი ბორისსაც აქვს შეტანილი.

პაიჭაძე თვალს ადევნებს ნორჩ ფეხბურთელთა თამაშს. უყურადღებოდ არ სტოვებს მათ თხოვნას. სათუთად ინახავს მათგან მიღებულ წერილებს. სწორედ ამიტომ გაგვახსენდა ახლა პატარა კორნუნივიცის მიერ 1940 წელს დაწერილი წერილი. 13 წელიწადი ინახავს ბორისი ამ წერილს...

თამაში დამთავრდა. სტადიონის უზარმაზარი საათის მარცხნივ ეწერა: „დინამო“ მოსკოვი — 2. მარჯვნივ — „დინამო“ თბილისი — 3.

ეს იყო 1953 წლის 7 აგვისტოს.

უზარმაზარი მზე ნახევრად ჩაძირულიყო ზღვაში. ოქროსფერი წრის შუაგულში ლაქაპავით მოსჩანდა შავი წერტილი. ეს იყო სატიკროო გემი „ტენდრა“, რომელმაც ნახევარი საათის წინ დატოვა ფოთის ნავთსადგური და ახლა ოდესისკენ მიემართებოდა — იქ უნდა დაეცალა მარგანეციით სავსე ტრიუმფი.

„ტენდრა“ უხმაუროდ მიარღვევდა ტალღებს. საკვამლე მილიდან ამოსული ორთქლისფერი ბოლი, თითქოს ზღვის დანახვისა შეეშინდაო, ისევ უკან, ფოთისკენ მიშქროდა. ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ გემის კაპიტანი — ძველი, გამოცდილი მეზღვაური — მაინც ხშირ-ხშირად ჩაიოდა სამოტორო განყოფილებაში. „ტენდრას“ ძრავები ახალი გარემონტებული იყო და მათ მეთვალყურედაც ახალი მექანიკოსი იყო ქანინიშული. ასე რომ ფრთხილი კაპიტანი ერთდროულად ამოწმებდა ახალ ძრავებსა და ახალ მექანიკოსს. მაგრამ კაპიტანს ტყუილუბრალოდ ლელავდა; რიტმულად გუგუნებდნენ მანქანები, ახალგაზრდა მექანიკოსს კი ეტყობოდა თავისი საქმის მცოდნე უნდა ყოფილიყო.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხა კაპიტანმა მორიგი შემოწმების დროს.

— ყველაფერი წესრიგშია, ამხანაგო კაპიტანო! — უპასუხა მექანიკოსმა და ზავგვიით გაილიმა.

— თქვენი გვარი და სახელი?

— ბორის სოლომონის-ძე პაიჭაძე!

— კეთილი, თუ რამე დაგპირდეთ, შემოდით ხოლმე ჩემთან.

რას იფიქრებდა მაშინ გემ „ტენდრას“ კაპიტანი, რომ ახალგაზრდა მეზღვაურიც სულ მალე კაპიტანი



განდებოდა, მხოლოდ გემისა კი არა, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი.

რას იფიქრებდა მაშინ ბორისი, რომ იგი ზღვის „დახმარების“ გარეშე მოინახულებდა უცხო ქვეყნებს და იქ დაცვადა საბჭოთა ფეხბურთის ღირსებას.

\* \* \*

პაიჭაძე გემზე მუშაობდა, მაგრამ ბორისზე, მის ბედზე, ამხანაგები და ახლობლები ფიქრობდნენ.


ფოთელებს თვალწინ ედგათ საშუალო ტანის გამხდარი ბები, ეღვის სისწრაფით რომ გაიტაცებდა ბურთს, რაღაც უცნაური, თვალისათვის უჩვეულო მოძრაობით რომ ატყუებდა მოწინააღმდეგის დაცვას და ბურთიანად შედიოდა კარებში. ახსოვდათ, თუ როგორ აღფრთოვანებდა მისი თამაში დანარჩენ მთამაშეებსაც. რა საშინელი სიძლიერით აგზავნიდა კარებისაკენ „ფეხზე მიბმულ“ ბურთს და როგორ უხაროდათ მოწინააღმდეგე გუნდის წევრებს, როდესაც ის არ თამაშობდა.

იმ დღეებში ყველა მასზე ლაპარაკობდა; ფოთის ფეხბურთელები უნდა შეხვედროდნენ ბათუმელებს. ეს შეხვედრა სწყვეტდა მეორე ადგილის საკითხს საქართველოს პირველობაზე. აუცილებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება; ამიტომ საჭირო იყო გუნდში ბორის პაიჭაძის დაბრუნება, რომელიც ზღვამ „წაართვა“ ფეხბურთელებს.

ბორისი კი ამ დროს უბედნიერეს ადამიანად გრძნობდა თავს. ამ ხნის განმავლობაში იგი დააწინაურეს და გემ „მეტალისტი“ გადაიყვანეს სამუშაოდ. ეს გემი მალე ვასტურავდა ბათუმშიდან. ახდებოდა დიდი ხნის ოცნება: ბორისი შორეულ ცურვაში მიემგზავრებოდა.

მაგრამ ეს სინარული ხანმოკლე აღმოჩნდა; ბორისმა შემაშფოთებელი ტელეგრამა მიიღო დედისაგან: მამა უკანასკნელ წუთებშია, ჩამოუსწარიო. მაგრამ... მიწუხარება უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა: ბორისი რომ გამოეტყუებოდა, მისმა ამხანაგებმა ყველაფერზე ხელი აიღეს და „დროებით მოჰკლეს“ პაიჭაძის მამა. ახალგაზრდა მეზღვაური ფოთში ჩამოვიდა. გაიგო ამხანაგების ეშმაკობის ამბავი, მაგრამ უკვე გვიან იყო. მსაჯის სახტენის ხმამ და მინდორზე გაგორებული ბურთის დანახვამ ყველაფერი დაავიწყა, დაავიწყა ზღვა, გემი „მეტალისტი“

1936 წელს 21 წლის ბორის პაიჭაძე უკვე თბილისის „დინამოს“ გუნდის ცენტრთაგან მსხმელად თამაშობდა. მას ხშირად უწყობდნენ გულთბილ შეხვედრებს ფეხბურთის მოყვარული ახალგაზრდები.



და შორეული მოგზაურობა. მატჩი ბათუმსა და ფოთს შორის შესდგა თბილისში — მოიგეს ფოთელებმა, ანგარიშით 2:1. ორივე ბურთი გატანილი იქნა „უოფილი მეზღვაურის“ — ბორის პაიჭაძის მიერ. წელიწადნახევარი ბურთისათვის ფეხი არ გაუკარებია ბორისს, მაგრამ ბავშვობაში მიღებული „გამოცდილება“ დაეხმარა და კარვად ჩაატარა პირველი მატჩი დედაქალაქის სტადიონზე.

„ბავშვობაში მიღებული გამოცდილება“ ხუმრობით არ არის ნათქვამი. ბორისი ნ წლის იყო, როდესაც ბურთის თამაში დაიწყო. სკოლაში უფრო დაეწაფა ბურთს. მაშინ, რასაკვირველია, ორგანიზებული ბავშვთა გუნდები არ იყო, მაგრამ ფოთის მინდვრებზე ხშირად ნახავდით, თუ როგორ ეჯობებოდა სკოლა-სკოლას, ქურა-ქურას, ნავთსადგომის უბანი ქალაქის რომელიმე უბანს და სხვ. აი, როგორ იგონებს ბორის პაიჭაძე თავის ბავშვობას: ჩემზე ხშირად უტყობია, ბურთთან ერთად არის დაბადებულიო. რა კარგი იქნებოდა მართლა ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ აღარ დამჭირდებოდა საქონლის ბუშტის ძებნა ან ხავსის ბურთის გაკეთება. ფორმაზე და სასპორტო ფეხსაცმელებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო. ხშირად შეძლებული მშობლები ყიდულობდნენ ბურთს თავიანთი შვილებისათვის. ბურთის პატრონს ვირჩევდით კაპიტნად და ყველა მის სურვილს ვასრულებდით. ხშირად თუ მისი გუნდი აგებდა, ან თვითონ ვერ გაიტანდა გოლს, დაავლებდა თავის ბურთს ხელს და სახლისაკენ გარბოდა. ჩვენ კი, ბურთის უქონლობის გამო იძულებული ვიყავით თამაში მიგვეტოვეინა. მასხვის ასეთი შემთხვევა: ჩვენი ბავშვთა გუნდი (მაშინ უკვე ფოთის III „დინამოს“ სახელით გამოვდიოდით) ქალაქ ცხაკაიას ესტუმრა. ჩვენი გუნდი უკეთ თამაშობდა და ბურთიც მალე გავიტანეთ ცხაკაიელთა კარში. მაგრამ უეცრად ვიღაც კარგად მოუყვანილი, ჩიხიანი კაცი ამოიღდა მთ მუკარეს გვერდში, იძრო ხანჯალი და შემოგვტანა: „ახლოს არ მოხვიდეთ, თორემ დაგჩვენათო“. ჩვენ შეგვეშინდა, ბურთის გატანის ბევრი საშუალება გვქონდა, მაგრამ „ხანჯლიანი მეკარის“ შიშით ვერ ვბედავდით ცენტრის იქით გადასვლას.

### ლილი ფახხაშვილის პრანაზა

ძნელია ფეხბურთის მოყვარულებს გააცნო რაიმე ახალი ფაქტი ბორის პაიჭაძის სპორტული ცხოვრებიდან. ვინ არ იცის, რომ თბილისში პირველი გამოსვლის შემდეგ პაიჭაძემ საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში დაიწყო სწავლა და ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის შუამარბად თამაშობდა. ვინ არ იცის, რომ ამის შემდეგ ბორისი თბილისის „დინამოს“ ცენტრთაგან მსხმელად იქნა გადაყვანილი და პირველად მიიღო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში. აბა, გაბედეთ და ფეხბურთის მოყვარულებს უთხარით როგორც [ახლო ამბავი, რომ 1936 წელს მოსკოვის მაყურებლებმა პირველად ნახეს პაიჭაძის თამაში მოსკოვის „სპარტაკთან“ შეჯიბრების დროს. ისინი მაშინ-

ვე წაგართმევნ სიტყვას და განაგრძობენ, რომ ეს შეხვედრა იყო სსრკ-ს თასის ნახევარფინალზე, რომ შეხვედრა დაშთავრდა ნ:3 თბილისის „დინამოს“ სახარგებლოდ და რომ პაიჭაძემ მაშინ ორი ბურთი გაიტანა. აბა, სცადეთ და გაიხსენეთ, რას წერდნენ მაშინ მოსკოვისა და თბილისის ჟურნალ-გაზეთები პაიჭაძის შესახებ. ფეხბურთის მოყვარულებმა კი ზეპირად იცინათ თვითეული წინადადება, თვითეული კომენტარი. ისინი გეტყვიან, რომ ამა და ამა წლის ამა და ამ გაზეთში ამ თამაშის შესახებ ეწერა: „თბილისელების თავდასხმას ხელმძღვანელობს დაუღალავი და საშიში პაიჭაძე. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ფორვარდებიდან არც ერთს არ შეუძლია ისე მოხერხებულად და სწრაფად დამუშაოს ბურთი, როგორც პაიჭაძეს... პირველი ტიპის ბოლოს „სპარტაკელებმა“ მიაგნეს მოწინააღმდეგის ტაქტიკას, საიმედო დამცველები დაუყენეს პაიჭაძის და შეტევაზე გადავიდნენ“.

ანდა: „ყოველი სპორტული წლის ბოლოს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტი ადგენს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელების სიას და აი, უკვე ათი წლის განმავლობაში ამ სიაში ერთ-ერთი პირველთაგანი სწერია — ბორის პაიჭაძე. ყველაზე ძლიერს გუნდშიც კი, როდესაც ის თბილისის „დინამოსთან“ სათამაშოდ იმზადება, უპირველეს ყოვლისა, ადგენს გეგმას, თუ როგორ დაიცვას თავისი კარები ამ საშიში თავდასხმების დარტყმებისაგან. ბორის პაიჭაძის სამი დარტყმიდან ერთი ყოველთვის გოლით თავდება. მაგრამ იგი არა მარტო უზუსტი დარტყმის ოსტატაა; არავის არ შეუძლია ბურთთან ერთად ისე გაააროს მთელი მინდორი და გაარღვიოს თავდაცვის ყველა ხაზი, როგორც მას. რაც არ უნდა ჩქარა გარბოდეს პაიჭაძე, ბურთი მას ყოველთვის წინა აქვს ნახევარი მეტრი, თითქოს ბურთი მის ნაბიჯებს უწყობს ფეხს. მისთვის პატარა ადგილია საქმარისი: 1-2 მეტრის ფართობზე მას შეუძლია რამდენიმე მოთამაშე მოატყუოს...“

ფეხბურთის მოყვარულებმა ზეპირად იცინათ ყველა იმ საგაზეთო წერილების სათაურებში, რომელშიც პაიჭაძე იყო მოხსენებული.

„პაიჭაძე — თავდასხმის ლიდერი“. „პაიჭაძის სამი ბურთი“. „მონეტალე ფორვარდი“. „მინდორზეა ბორის პაიჭაძე“. „პაიჭაძე ფეხბურთის კარუზოა“ და მრავალი სხვ.

აბა, ჰკითხეთ ფეხბურთის მოყვარულებს თუ ახსოვთ მოსკოვის ცდკასთან ჩატარებული მატჩი, როდესაც თბილისელებმა პირველი ტიპი 1:4-ზე წააგეს და მეორე ტიპში კი ოთხი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. ისინი გაიღიმებენ და დაწვრილებით გაიმბობნენ მთელი მატჩის მსვლელობას, თანაც დაუმატებენ, რომ იმ დღეს თბილისის „დინამოელებმა“ პირველად გამოიყენეს პაიჭაძისა და მისი ამხანაგების მიერ შემუშავებული ადგილების შეცვლის მეთოდი და სწორედ ამას მიაწერენ თბილისელთა დაუჯერებელ გამარჯვებას.



ოთხიანი ათ კაყოფილდებოდა სავალდებულო წვრთნით. იგი ხშირად მარტო ვარჯიშობდა სტადიონზე.

აბა, ჰკითხეთ რომელ თამაშზე გაიტანა ბურთი პირითი ხაზიდან?

— მოსკოვის „ტორპედოსთან“, — სწრაფად გიპასუხებენ ისინი, გეტყვიან რომელ ტიპში იყო ეს შემთხვევა, საით იდგნენ მოსკოველები და რომელ კუთხეში შევარდა ბურთი, თანაც დაუმატებენ — ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ფეხბურთის ისტორიაში.

— რომელ თამაშზე დანიშნეს საჯარიმო დარტყმა თბილისელთა მხარეზე პაიჭაძის მიზეზით?

თუ ასეთ კითხვას გაუბედავთ ფეხბურთის მოყვარულებს, ისინი შემოგამბედურენ და საყვედურით გეტყვიან: — პაიჭაძე ჯარიმას იშვიათად იღებდა, ისეთი დისციპლინისა და „სუფთა“ მოთამაშე მთელ კავშირში არ ყოფილა.

ასე რომ ფეხბურთის მოყვარულებს ახალს ვერაფერს ვერ ეტყვიან პაიჭაძის შესახებ. ყოველთვის ასე უსუსტად გიპასუხებენ პაიჭაძის „ბიოგრაფია“ მრავალრიცხოვანი არმიის წარმომადგენლები.

მაგრამ სახელოვანი ფეხბურთელის თავყანისმცემლებმა არ იცნან, თუ რა საინტერესო, ამბლეგებელ, საქმიან წერილებს ეღებს ბორის პაიჭაძე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.


### „თბილისი, ბორის პაიჭაძეს“

ამ სამი სიტყვის მეტი არაფერი ეწერა კონვერტს, რომელიც ქალაქ კიწილიდან გამოგზავნა მოქალაქე ნიკოლოზ ტოშჩევამ.

ეს წერილი შეიძლება ადგილზევე დაებრუნებიათ ავტორისათვის, მაგრამ ქალაქ კიწილის საფოსტო განყოფილებაშიც იცნობდნენ, ალბათ, ბორის პაიჭაძეს, ამიტომ მისამართი სრულყოფილად ჩასთვალეს. „თუმცა რადიოთ, მაგრამ მაინც თვალს ვადევნებდი თქვენს თამაშს. თქვენ თანამედროვე ფეხბურთის გმირი ხართ“. სწერს ნიკოლოზ ტოშჩევი.

უამრავი, მეტად საინტერესო წერილები აქვს მიღებული ბორის პაიჭაძეს, სწერენ ლეოვიდან, რიგიდან, ხაბაროვსკიდან, სწერს ინჟინერი, აგრონომი, მოსკოველი პროფე-





ბორის პაიჭაძე და მიხეილ იაკუშინი ხშირად შეხვედრიან ერთმანეთს „ბრძოლის გე-  
ლზე“. ახლა კი ორივენი ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდას ანდომებენ მთელ ენერჯიას.  
მიმდინარე წლის 7 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ გუნდის უფროსი ბორის პაიჭაძე  
და მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი მღელვარებით უყურებენ მოსკოვისა და თბილისის „დინა-  
მოელთა“ შეხვედრის ერთ-ერთ მომენტს.

სორი, რომელმაც ფეხის ოპერაცია  
გაუკეთა ბორისს, ლენინგრადელი  
სტუდენტები, რომელთაც გული დაწყ-  
დათ თბილისელთა წაგების გამო.  
წერილთა ავტორები მოლოცვებთან  
ერთად თავიანთ მოსაზრებებსაც უზიარ-  
ებენ სახელოვან კაპიტანს. ურჩევენ,  
თუ რომელი ფეხბურთელის გადაყვანა  
სჯობს სხვა ადგილზე სათამაშოდ, რა  
შემადგენლობა გამოიყვანონ ამა თუ  
იმ გუნდის წინააღმდეგ. ეკითხებიან,  
თუ რამდენი ბურთი გაიტანა პაიჭაძემ  
წარსულ სეზონში, რატომ აღარ თა-  
მაშობს ესა თუ ის ფეხბურთელი და  
სხვ. ამ წერილების მიხედვით თავი-  
სუფლად შეიძლება საბჭოთა კავ-  
შირის ფეხბურთის ისტორიის დაწერა  
1936 წლიდან დადგინდეს.

მაგრამ ყველაზე საინტერესო წერი-  
ლები ახალგაზრდების კლამს ეკუთვნის.  
აი, რას სწერს ბორის პაიჭაძეს  
კუიბინეველი სტუდენტი ალექსი  
აკოვლევი: „ეს იყო 1947 წლის 12  
ივნისს კუიბინევეში, „ლოკომოტივის“  
სტადიონზე. ჩემს ცხოვრებაში პირველ-  
ლად ვუყურებდი მატჩს საბჭოთა  
კავშირის „პირველობაზე“. „კრილია  
სოვეტოვ“-ის გუნდი ეთამაშებოდა  
თბილისის „დინამოს“. ვიყიდე პროგ-  
რაზა. აი რა ეწერა მასში: „მთელ თა-  
ვიანთ თამაშს თბილისელები უნდა  
უშადადონ გუნდის კაპიტანს, „მე-  
ტრე ნომერს“, „მეკარეთა რისხვას“  
სპორტის დამსახურებულ ოსტატს  
ბორის პაიჭაძეს“. შემდეგ — „ბ. პაი-

ჭაძეს ყოველი მდგომარეობიდან და  
ყოველი მანძილიდან შეუძლია ბურ-  
თის გატანა!“

მაგრამ დაიწყო მატჩი და მე მითხ-  
რეს, რომ არ თამაშობს პაიჭაძე...

მე აქამდე არასოდეს არ მენახა  
ოსტატთა ასპარეზობა, მაგრამ პირდა-  
პირ ჰკუიდან შევიშალე, როდესაც  
ვნახე გაიოლ ჯეჯელავას თამაში.  
ფანტაზიითაც ვერ წარმოვიდგენდი,  
თუ ასეთი თამაში შეიძლება. მე  
ვიფიქრე; მაშინ როგორღა თამაშობს  
პაიჭაძე? და გადავწყვიტე, რაც არ  
უნდა მომხდარიყო, მენახეთ თქვენ“.

აი, ნორჩი მოსკოველის წერილი:

„... მე თქვენ გაიცანით „სტალინი-  
ცის“ სტადიონზე. თქვენი გუნდი მაშინ  
ვარჯიშობდა. მე ვცდილობდი აუტში  
გადაგდებული ბურთები მომეწოდე-  
ბინა თქვენთვის. არასოდეს არ დავი-  
ვიწყებ ამ შეხვედრას. სახლში რომ  
მივედი, არაფერი არ მიჭამია, ისე  
დავწევი. დილით ჩვენი ბიჭებს ვუამბე  
ყველაფერი. მაგრამ არ დამიჯერეს,  
„პაიჭაძე შენ ზედაც არ შემოგხედავ-  
დაო“. მეორე დღეს „დინამოს“ სტა-  
დიონზე ჩატარებული მატჩის შემდეგ  
თქვენ წახვედით კიო „დინამოში“ —  
„ყუბანელების“ სანახავად. ჩვენ დაგე-  
წიეთ შესასვლელთან, მე მოვედი  
თქვენთან და მოგესალმეთ. მხოლოდ  
მაშინ დაიჯერეს ჩემმა ამხანაგებმა,  
რომ მე მართალს ვამბობდი“. წერი-  
ლის ბოლოს ნორჩი მოსკოველი თავის  
აკადემიური წარმატების ნიშნებს

აცნობს პაიჭაძეს და თხოვს: „ნუ თუ  
არ გექნებათ ყველაზე ცუდი, დახეუ-  
ლი ფოტოსურათი? გთხოვთ გამომიგ-  
ზავნოთ, მე მას სამუდამოდ შევიწინაბავ“.

აი კიდევ ერთი წერილის მოკლე  
შინაარსი: „... ფეხბურთის თამაში და-  
ვიწყე მე-5 კლასიდან, იმავე წელს  
გავხდი თბილისის „დინამოს“ მხურ-  
ვალე თაყვანისმცემელი. ზოგიერთებს  
ეს უცნაურად ეჩვენებათ („მოსკოველი  
ხარ და თბილისელებს კი ემბრობიო“)  
მაგრამ მე ვთვლი, რომ ისინი სცდუ-  
ბიან. ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩემი  
ბიძისგან ბევრი საინტერესო ამბავი  
მომისმენია თქვენი გუნდის შესახებ.  
ბიძაჩემი ხშირად მეუბნებოდა: „თუ  
ოღესმე ფეხბურთელი დადგები, დაე,  
მაგალითად პაიჭაძე გყავდესო“. მე  
და ბიძაჩემი კარგი მეგობრები ვიყა-  
ვით და ძნელი გადმოსაცემია, თუ  
როგორ განვიცადე მისი სიკვდილი.  
იგი ომის დროს დაიღუპა...“

თქვენი გუნდის თამაში პირველად  
ომის შემდეგ ვნახე, როცა თქვენ თა-  
მაშს თვალს ვადევნებდი, ყოველთვის  
მეგონა, რომ ჩემს გვერდით ბიძაც  
იჯდა. მე ძალზე მომეწონა თქვენი  
ცეცხლოვანი, ტემპერამენტისანი, ლა-  
მაზი თამაში. მას შემდეგ არასოდეს  
არ გამოცდენია თბილისის „დინამოს“  
მატჩები მოსკოვში.

დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს  
ან მეზღვაური გამოვიდე, ან ფეხბურ-  
თელი. მაგრამ ახლა საბოლოო არჩე-  
ვანის მომენტი დადგა. ჩვენი ფეხბურ-  
თელთა გუნდის მწვრთნელი მეუბნება,  
რომ მე დიდი მონაცემები მაქვს, რომ  
მთელი სიცოცხლე უნდა შევწირო  
ფეხბურთს. სხვები კი მეუბნებიან  
„ფეხბურთი აფერხებს ადამიანის სუ-  
ლიერ განვითარებასო“.

მე ვიცი, რომ თქვენ წინათ მეზღვა-  
ური იყავით. სწორედ ამიტომ გადავწყ-  
ვიტე, რომ თქვენთვის მომემართა.

გთხოვთ დამეხმაროთ ამ არჩევან-  
ში — „ზღვა, თუ სტადიონის მწვანე  
მინდორი?“. ძალზე, ძალზე გთხოვთ,  
რომ მიპასუხოთ“.

ეს წერილები მთელ თავის წარ-  
სულს ახსენებენ ბორისს, ათვლიე-  
რებს მათ, ხელახლა კითხულობს და  
თვალწინ უდგება თავისი სპორტული  
ცხოვრების განვლილი გზა. თვალწინ  
უდგება სახელოვანი ესპანეთის ფეხ-  
ბურთელთა სახეები. თითქოს ახლაც

გრძნობს მათ ხელისჩამორთმევას, შე-  
ქების სიტყვებს. უცერად ბორისს  
თვალწინ დაუდგება ფეხბურთის რე-  
მელიდაც მატჩის ერთ-ერთი მომენტი.  
აი, ხედავს ბურთს, ხედავს აქალებს  
მის ტრაექტორიას. ხედავს თუ როგორ  
ინაცვლებენ ადგილს შოთამაშებში,  
ხედავს მსაჯს, საათზე რომ იხედება,  
მაგრამ არ ახსოვს რომელი თამაშზე  
იყო ასეთი მომენტი. ახსენდება თეი-  
რანი. „ამჯადიეს“ სტადიონი. ირანელ  
მეკარეს მესამე ბურთი გამოაქვს ბა-  
დიდან. მაშინვე ახსენდება რუმინელი  
მეკარეც მეთე ბურთი რომ გაუშვა  
და სიმწრისაგან ზელი ჩაიქინა... აი,  
თითქოს ესმის თავისი ამხანაგების —  
თბილისის „დინამოელების“ სიტყვები,  
პოლონეთიდან რომ დაბრუნდნენ და  
დაწვრილებით უამბეს ბორისს თეი-  
თული მატჩის შესახებ: „როდესაც



პაიჭაძის „დაბერა“ თითქმის შეუძლებე-  
ლია, წერდნენ მაშინდელი გაზეთები. და  
კარიკატურისტებიც ხშირად ხატავდნენ ასეთ  
მეგობრულ შარჟებს.

მატარებელი სადგურ ტერესპოლში  
შეჩერდა, ვაგონში უამრავი კორეს-  
პონდენტი შემოიჭრა. — პაიჭაძე, პაი-  
ჭაძე! — კითხულობდნენ ისინი. როცა  
გაიგეს რომ შენ არ გვანდობი, ფრიად  
დაღონდნენ“.

ერთ დროს წერილების მისამართი  
შეიცვალა: „თბილისის ფიზკულტურ-  
ის კომიტეტის თავმჯდომარეს —  
ბორის პაიჭაძეს“. კომიტეტში მუშაო-  
ბის პერიოდი ძალზე ნაყოფიერი იყო.  
აქ პაიჭაძეს დაეხმარა დიდი სპორტუ-  
ლი გამოცდილება, იგი ხოზ ბავშვო-  
ბისას საუკეთესოდ თამაშობდა კალათ-  
ბურთს, წყალბურთს და ფოთის ერთ-  
ერთი კარგი ნიზბოსანი იყო.  
დღეს კი წერილები ასეთი მისა-  
მართით მოდის: „თბილისი, „დინა-  
მოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთ-  
ნელს — ბორის პაიჭაძეს“.

ბორისი ისევ დაუბრუნდა თავის  
საყვარელ ფეხბურთს. იგი გატაცებით  
მუშაობს ახალგაზრდებთან. სიამაყით  
შესტეკრის ლოლოზრებისა და ელო-  
შვილის თამაშს და ხანდახან გუნდის  
უფროსი, როგორც აზარტში შესული  
მაყურებელი, უნებურად შეარჩევს  
ხოლმე ტანს, თითქოს ასეთი მოძრაო-  
ბით მოატყუებდა მოწინააღმდეგეს იმ  
წუთში რომ მინდორზე ყოფილიყო  
გასული.


ბორისს უყვარს თავისი საქმე,  
უყვარს გუნდთან მუშაობა და იგი  
ფიქრობს, რომ ეს უკანასკნელი მისა-  
მართი დიდხანს არ შეიცვლება.

ბორის პაიჭაძის უფროს ვაჟს რამაზს უკვე გა-  
მოუმუშავდა ძლიერი და ზუსტი დარტყვა. იგი  
ოცნებობს, რომ გახდეს „ნაზდვილი პაიჭაძე“.  
ბორის პაიჭაძე აქვანად მუშაობს წიგნზე „ბავ-  
შები და ფეხბურთი“.





თბილისის კუბიზმეზის სახელობის ხის დამამუშავებელი ქარხნის სტახანოველი ღურგალი სერგეი პოზუშკო რანდაგს მერხს.



ეროვნული  
შიგლირთიქა

# როცა მოსწავლეები ისვენებდნენ

ა. მარიანიძე

ფოტო ო. თურქიასი

დადგა სექტემბერი. კიდევ ერთხელ დაირღვა სკოლის დერეფნებისა და საკლასო ოთახების მკუდროება. არდადეგებიდან დაბრუნდნენ გაჯანსაღებული და სწავლას მოწყურებული მოწაფეები. უმეტესმა მათგანმა პიონერთა ბანაკებში და ბავშვთა სანატორიუმებში გაატარა ზაფხულის დღეები. ზოგმა ალბინისტთა ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა, თავის სიცოცხლეში პირველად ნახა კავკასიონი. ზოგი ექსკურსიას გაჰყვა, ვოლგა-დონის არხი მოინახულა და შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდა თბილისში. ვინ მოსთვლის კიდევ სად არ იყვნენ, რა არ ნახეს და რამდენი ახალი ამბავი არ გაიგეს ზაფხულის განმავლობაში ჩვენმა მოსწავლეებმა. არდადეგების დროს ისინი, ალბათ, ხშირად ფიქრობდნენ თავიანთ სკოლაზე, მასწავლებლებზე და 1 სექტემბერზე — სწავლის დაწყების დღეზე. მაგრამ, ალბათ, არც ერთ მათგანს არ უფიქრია იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებოდნენ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლები და დედაქალაქის სხვადასხვა დაწესებულებანი.

ზამთრისა და ზაფხულის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეული დასახელებელი სახლები, ბავშვთა სანატორიუმები და პიონერთა ბანაკები ემზადებოდნენ თბილისის მოსწავლეთა შესახვედრად. ზაფხულის ცხელ დღეებში კი თვით თბილისის სხვადასხვა ფაბრიკაში, კინოსტუდიაში თუ სტამბებში იყო გაჩაღებული გაცხროვებული მუშაობა.

გამომცემლობა „სახელგამის“ კონბინატის მუშებმა ზაფხულის განმავლობაში 75 სხვადასხვა სახელწოდების სახელმძღვანელო დაამზადეს სკოლებისათვის — ორ მილიონზე მეტი საერთო ტირაჟით. ახალგაზრდა მუშები გვი მიმინოვებენ და ანზორ გაჩეჩილაძე გეოგრაფიის სახელმძღვანელოს უპირატესობაზე მეთქვამის მოწაფეებს. ამჟამად ეს წიგნები უკვე მოწაფეთთან არის, წიგნიდან ნაწილი მასალა გავლილი და გულდასმით შესწავლილია.

ახალგაზრდა ამკინძველები გვი მიმინოვებენ და ანზორ გაჩეჩილაძე მუშა ახალგაზრდობის სკო-

ლაშიც სწავლობენ. ასე რომ მათ საკუთარი ხელით მოუხდათ თავიანთი სახელმძღვანელოების ამკინძვა. კუბიზმეზის სახელობის ხის დამამუშავებელმა

რემონტი თბილისის ქალთა 25-ე საშუალო სკოლაში.



ქარხანამ სამი თვის განმავლობაში 175 სამასწავლებლო მაგიდა, 185 საკლასო კარადა და 1440 მერხი დაამზადა. ეს ინვენტარი ახლა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებშია განაწილებული, ამ მერხებზე კი უკვე მოწაფეები სხედან და ყურადღებით უსმენენ თავიანთ მასწავლებლებს. ყველაზე პატარა მერხებზე პირველკლასელები შემომხსნარან, ხელები ზურგს უკან დაუმალიათ და დიდი, გაფართოებული თვალებით შესცქერავენ საკლასო დაფას, რომელზედაც ანბანის პირველი ასოებია დაწერილი.


თბილისის მულტიპლიკაციური ფილმების სტუდია ამ დღეებში დამთავრებს ახალი საბავშვო ფილმის „ყურშას“ გადაღებას. ფილმი დადგმულია ახალგაზრდა რეჟისორის ვახტანგ ბახტაძისა და შალვა გედევანიშვილის მიერ. სულ მალე ნორჩი მკურნალები ჩვენი კინოთეატრების ეკრანზე ინილავენ ამ ახალ ფილმს.

ბავშვების საყვარელი კომპოზიტორი ალექსანდრე ბუკია ზაფხულის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა საბავშვო სიმღერებზე. ლამაზი და მოხდენილი გამოვიდა სიმღერა აკაკი წერეთლის ტექსტზე „ჩიტი ვალაში“, რომელიც უკვე მოისმინეს და დაიმასხვრეს კიდევაც ბავშვებმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებულმა ტექნიკური სახელოსნომ, რომელსაც პედაგოგი გიორგი ჩილაძე ხელმძღვანელობს, სხვადასხვა ცხოველთა და ფრინველთა მრავალი ფიტული დაამზადა სკოლების ზოოლოგიის კაბინეტებისათვის. სახელოსნოს ნამუშევრებიდან ყურადღებას იპყრობს ივავ-არაკების „გაცეცნიურება“ ფიტულების საშუალებით. მათ შორის საინტერესოა „მამალი და მელა“, „მელა და ყურძენი“, აკ. წერეთლის ივავ-არაკი „დათვის წვეულება“ და სხვ.

აი, ასე ემზადებოდნენ თბილისის კომპოზიტორები, კინომუშაკები და სტამბის მუშები 1 სექტემბრისათვის. ასე ემზადებოდა მთელი სამშობლო არდადეგებიდან დაბრუნებული მოსწავლეების შესახვედრად.





საქ. სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული ტოქსიდერმიული სახელოსნო. სახელოსნოს დირექტორი გ. ჩლაიძე მის მიერ გაკეთებულ ფიტულთან.

თბილისის თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოთა საბაზო მაღაზიაში.



ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საამქროს ახალგაზრდა მუშები გ. მიმინოშვილი (მარცხნივ) და ან. გაჩეჩილაძე.

კომპოზიტორი ალ. ბუკია მუშაობს ახალ საბავშვო სიმღერებზე.



საქართველოს სსრ რადიოკომიტეტში. მსახიობები (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. კუპრაშვილი, დ. ძიგუა და მ. ჩახავა ემზადებიან მორიგი საბავშვო გადაცემისათვის.









იასნაია პოლიანა.

დიდი გუბურა.

ქართული  
ბიბლიოთეკა



იასნაია პოლიანა. ლ. ნ. ტოლსტოის  
სახლი-მუზეუმი.

ფოტო ე. იგნატოვიჩისა.



ვ. სიღამონ-ერისთავი.

საკლამბურნეო დოლი.  
ეპიკურული  
გიგლირთევა







საგ. მუზეუმი  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ვ. სიღამონ-ერისთავი.

უცნობი ქალის პორტრეტი.





ათი წლის წინ, 1943 წლის 19 ივნისს, 54 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, — ვალერიან ვლადიმერის-ძე სიღამონ-ერისთავი. ვ. სიღამონ-ერისთავი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ფუნჯობდა თუ ყალმის საშუალებით თავდადებულად ემსახურებოდა ხელოვნების განვითარების საქმეს ჩვენს ქვეყანაში.

ვალერიან სიღამონ-ერისთავი დაიბადა სოფ. ყვარულში 1889 წელს. ჩანს, მშობლიურ ბუნებას მხატვარზე გარკვეული გავლენა მოუხდენია, რადგან მის მრავალფეროვან და თავისებურ კოლორიტს მხატვარი ყოველთვის ჰპარბად და უტყუარად ასახავდა თავის შემოქმედებაში.

ყვარლის სასწავლებლიდან მშობლებმა ვალერიანის თბილისს გაამგზავრეს, სადაც მომავალი მხატვარი იმ ხანად არსებულ კერძო სამხატვრო სტუდიაში მოეწყო. ცხადია, ამ სასწავლებელში მეცადინეობას ვალერიანისათვის უმედველო არ ჩაუვლია, მით უფრო, რომ მისი სასწავლებლებად სტუდიაში იყვნენ დემოკრატიული იდეებით ღრმად გამსჭვალული და ქართველი ხალხის დღესტორი ცხოვრების საუკეთესო ამსახველი, პოეტი-მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი და შესანიშნავი კოლორისტი რუსი მხატვარი ბორის ფოგელი.

სტუდიის დახურვის გამო სიღამონ-ერისთავმა, მიუხედავად მიძიმე ოჯახური პირობებისა, გადაწყვიტა გამგზავრებულიყო რუსეთს, მოსკოვის ე. წ. ფერწერისა, ძირწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში მოსაწყობად.

აღნიშნულ სასწავლებელში სიღამონ-ერისთავმა 1905-15 წლები დაჰყო, რის შემდეგაც უსახსრობის გამო იძულებული ხდება დაუბრუნდეს სამშობლოს, ჯერ კიდევ სწავლადურსტუდენტად.

მოსკოვის სამხატვრო სასწავლებელში იმ დროს ბევრი ისეთი თვალსაჩინო რუსი მხატვარი მუშაობდა, როგორც იყვნენ სეროვი, ვასნეცოვი, კაროვინი და სხვ. მათი მრავალმხრივი გავლენით სიღამონ-ერისთავი თავისებურ მხატვრად ჩამოყალიბდა.

მეტად საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1913 წ. გაზეთი „თემი“ (121) იტყობინებოდა ახალგაზრდა მხატვრის თბილისში ჩამოსვლის შესახებ და აღნიშნავდა, სიღამონ-ერისთავი შინაარსს თავის სურათებისათვის ქართველი ხალხის ცხოვრებიდან იღებს. ამასთან იგივე გაზეთი დასძენდა: „რამდენიმე მისი სურათი გამოფენილი იყო პეტერბურგში და მოსკოვში შარშან სამხატვრო გამოფენაზე. რუსულმა გაზეთებმა აღნიშნეს კიდევ ზოგიერთები“.

იმდროინდელი ქართული პრესის მიერ მიცემული სიღამონ-ერისთავის შეფასება ჩვენთვის გასაგები დასდება, თუ ჩვენ განვიხილავთ მხატვრის შესანიშნავ ნაწარმოებს „უცნობი ქალის პორტრეტს“, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის გამოფენას ამზენებს. აღნიშნული პორტრეტი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. იგი თავისი ოსტატური გადაწყვეტით თამამად შეიძლება გვერდში ამოუდგეს დიდ რუს კლასიკოს მხატვართა პორტრეტებს.

სიღამონ-ერისთავი როგორც მხატვარი მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. რუსეთიდან საქართველოს დაბრუნებული იგი გატაცებით ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას მშობლიურ კუთხეში (ასწავლიდა თელავის პირველ გიმნაზიაში და სხვა სასწავლებლებში) და ამავე დროს მონაწილეობდა იღებს პურნალ-გაზეთებში ილუსტრაციებისა და კარიკატურების მოთავსებით. ამ ნამუშევრებში იგი კარგად იცნობა, როგორც დემოკრატი მხატვრის ა. მრევლიშვილის ნიჭიერი მოწაფე. მხატვარს კარგად ესმის იმდროინდელი მდგომარეობა და სულისკვეთება ხალხისა, რის გამოც მის მიერ ასახული, ერთგვარ მხატვრულ კალენდარს წარმოადგენს რევოლუციამდელი საქართველოს ცხოვრებისას.

რევოლუციას საქართველოში სიღამონ-ერისთავი უკვე ჩამოყალიბებულ მხატვრად ხვდება. იგი გატაცებით ებმება ახალი ცხოვრების ფერხულში და მის თვალთახედვის გარეშე არ რჩება არც ერთი საინტერესო მომენტი ჩვენს ქვეყნის როგორც აწყო, ისე წარსული ცხოვრებისა.

თუ ძველ საქართველოს ასახვასთან დაკავშირებით მხატვარი ჰქნის ისეთი ხაზის ისტორიული ხასიათის სურათებს, როგორც არის „თამარ მეფე“ (1917 წ.), „კრწანისის ბრძოლა“ (1919 წ.), ისეთი უტყუარი და მსუბუქი იუმორით გაუღენთილ ქართულ სურათებს სოფლისა და ქალაქის ცხოვრებიდან, როგორც „დაბრუნება სკოლიდან“, „უი-ქაა“ და სხვ., თუ მისი ფუნჯი დაუღალავად ასახავს საქართველოს სხვადასხვა პეიზაჟებს მისი უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლებით (მაგ. „ალავერდი“, „იყალთას აკადემიის ნანგრევები“ 1925 წ., „მეტეხის ხედი“ და სხვ.), საბჭოთა საქართველო მხატვრის შემოქმედებაში გამოიყურება ახალი აღმართების გამორული შრომისა და ცხოვრების ფონზე. მხატვარი უპირისპირებს ძველ თბილისს („ძველი თბილისის ტიპები“—1920 წ., „ძველი თბილისის კუთხე“—1925 წ. და სხვ.) გარდაქმნილ ახალ ქალაქს („მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის“ ხედი და სხვ.), ახლის სიმშვენიერე მას სიამაყეს გვრის.

სიღამონ-ერისთავის შემოქმედებაში ისტორიულ-რევოლუციური სურათების („წითელი კვადრიანი“, „პარტიზანები“) გვერდით ჩნდება ბატალური ხაზის ნაწარმოებებიც, როგორც არის „არტილერია ცეცხლის ხაზზე“ და „ჩვენი მთა გასვლა პოლიციისაზე“. ეს ორი უკანასკნელი სურათი 1937 წ. წაღებული იყო საქართველოს სსრ ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების გამოფენაზე მოსკოვში.

აღსანიშნავია, რომ სიღამონ-ერისთავს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში არაერთგზის მიუღია მონაწილეობა გამოფენებზე. ერთ-ერთმა მისმა თვალსაჩინო ნამუშევარმა: „დღის საკომპიურნიო მინდვრებზე“—1941 წელი, დიდი მოწონება დაიმსახურა ახალი, საკომპიურნიო სოფლის ცხოვრების მკვეთრად ასახვით, რთული კომპოზიციის კარგად გადაწყვეტით და სურათში საქართველოს ბუნებისათვის დამახასიათებელი ფერებისა და კოლორიტის აუღერებით.

სიღამონ-ერისთავი თეატრალურ მხატვრობაში ჩვენთვის ცნობილ ქართველ დეკორატორ მხატვართა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია. მან შექმნა არა ერთი ღირსშესანიშნავი მხატვრული და ფორმებული სპექტაკლი როგორც დრამაში, ისე ოპერაში. მათგან აღსანიშნავია ქართული საბჭოთა დრამის პირველი სპექტაკლები „ცხვრის წყარო“ და „მზის დაბნელება“, აგრეთვე „კაკო ყაჩაღი“, „ნაბერწკლი-დან“, „თვადი იგორი“ და მრავალი სხვ.

აღსანიშნავია, რომ სიღამონ-ერისთავის ნიჭი და მისწრაფება დეკორატიული მხატვრობისადმი იმდენად ძლიერია, რომ იგი მის ფერწერულ ნამუშევრებშიც ვლინდება, ხოლო მისი მრავალრიცხოვანი ეტიუდები ძირითადად მასალას წარმოადგენენ, რომელიც მას საშუალებას აძლევს მაღალ დონეზე გააფორმოს სპექტაკლი როგორც მაყურებელთა, ისე თვით სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა მოთხოვნების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად. მისივე ნიჭს დეკორატიული მხატვრობაში უნდა მივუწეროთ ის დიდი გამარჯვება, რომელიც წილად ხვდა მხატვარს 1938 წელს საკავშირო სახელგლო-სამეურნიო გამოფენაზე საქართველოს პავილიონის მხატვრულად გაფორმებისას.

ბ. ჯაჟარძი

საქ. სსრ ხელოვნების მუზეუმის სწავლული მდივანი.

## მშვიდობის ქაჩაზე

ზეცა მოსჩანდა საოცრად ლურჯი, რომ არ უყურო ასეთ ცას შესძლებ? მე მივიღოდი მშვიდობის ქუჩით და ამჯერადაც ვფიქრობდი შენზე. აკაციების იღვა სურნელი, გახსოვს იმ ბაღში აკაციები?!

მეგონა ცხადად გესაუბრები, ჩემთან იყავი და გაცილებდი. თბილისში ვარ თუ სტალინგრადში ვარ მე მუდამ შენზე ვფიქრობ, ძვირფასო, ხარბად ვისუნთქავ მიწის ოხმივარს, შეგყურებ მზეს და მარადის მახსოვს ქვეყნად არსებობს შენი ღიმილი, რომელიც უტყნობ სიყვარულს მომცემს, და ვუფრთხილდები თვალისჩინივით მშვიდობას, ამ ცას, დიად სიცოცხლეს.

## თამაზ ჩილაძე

### გუჩისგებთან

ზევიდან თითქო მეძახის რიცა, ცა უღრუბლოა ახლა სრულიად, ბალახით მკერდი ულელავს მიწას, მიწა კი არა — ირმის ცურია. ფერღობზე თითქო ძოვენ კრავები, ჩანს ტურისტების თეთრი კარავები. ავეყვები ფერღობს, მივალ კარავებთან და მასპინძელი შევდივარ სტუმრად, გხარობ თვალების სიანკარეთი, მავსებს ღიმილი ცასანი სუფთა. როგორც მეგობარი ისე მიღებენ, საწვიმარს შლიან, დაბლა მიგებენ. ლენინგრადიდან აქ წამოსულან, სამშობლოს ნათელ გზებზე დადიან, მთებში უზბურენ უტურფეს სურათს, და რიცას ახლოს სახლში არიან. გუსმენ მეგობრებს

და ვფიქრობ ჩემთვის, აქ გავათვდი—ნეტავ მეცალოს, მღერინან, მათ ხმას ძმასავით ერთვის ჩემი „გაფრინდი შავო მერყხალო“. ვუყურებ ერთი შავთვალა გოგო შენა გვავს როგორ... გსაუბრობთ დიდხანს, თითქოს გვისმენენ — ახლოს მისულან მაღლი მთები. მეზავრი ძმებს შორის ვზივარ, ვისვენებ და მეგობრობის კოცონთან ვთბები...


## ნოღარ ნარსია

### და ვხედავო ასა...

მზეს გამოყვით იმ ჩემ სახლისკენ, მოყვრებთან მუდამ მიყვარს მოლხენა. სტუმრიანობა გამახალისებს, უსტუმროდ ღვინოც გამიხრდება. უსტუმროდ გული გვლარ გამოძლებს, მოყვრისთვის სულაც აღარ მეშურვის! მოდიო, გივარგო იქნებ მასპინძლად დაგხვდებათ ღვინო „ოჯალღური“. ოდა სახლი მაქვს ცამდე აჭრილი, ეზოც ვარდებით ანაჭრელები. სახლის ქერია ზეცის ნაჭერი, დარბაზიც ცხენის გასაქენები. და ვცხოვრობ ასე, არა მიჭირს რა, ჩემი მამულის ეზოთ დამთვრალი. ერთი უბრალო გლენის ბიჭი ვარ, გლენის გულივით ალაღ-მართალი.



# მარელოსში



ფოტო ვლ. გინზბურგისა

## ნოღარ ჩხიძე

ის იჯდა ჩემს, გვერდით. სახეზე კმაყოფილების შუქი მოჰფენოდა. იდაყვით სახელურს დაეყრდნო, თავი დახარა და წამჩურჩულა: „რა კარგი სავარძლებია, ნეტავ სად გააკეთებინეს?!“

— მართლაცდა რა კარგია! — ვუბასუნე მე და პარტერს გავხედე.

რუსთაველის თეატრში ვიყავით, „სამშობლო“-ზე. მაშინ ვერ ვუბასუნე მე-გობარს კითხვაზე, გული დამწყდა. ჩუქურთმებით ნაკვირისტალ თეატრის თაღზე ჩამოვუგდე ლაპარაკი. ოქროთი მოვარაყებულ მუზათა გამოსახულებებს დავადგი

თვალი. და... მაინც იგივე კითხვა გამიმეორა თეატრიდან გამოსვლის უამს.

რად მომაგონდა ყოველივე ეს? ალბათ იმიტომ, რომ ნატვრა ამისრულდა და ახლა იმ ლამაზი სავარძლების ავტორებთან ვარ მარელოსში.

აქ არის ქართული ავეჯის ქარხანა. ქარხანასა და ბაქანს შორის გრძელი, ნაძვით, ფიჭვით და ყვავილებით სავსე ბაღია გაშენებული. ბაღს იქით ქარხნის სამმართველოა და კლუბი, სასადილო და საავადმყოფო, საერთო საცხოვრებელი და აფთიაქი. მდინარის გაღმა, ქარხნის მოპირდაპირე მხარეს მრავალი სამსართულიანი სახლია. ეს მუშათა საცხოვრებელი ბინებია. აქვეა დიდგაგის საშუალო და მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლა. დიდგაგეში ყველაფერი არსებობს და ცოცხლობს ქარხნის მეოხებით. ყოველი შენობის თუ დაწესებულების არსებობა, გაჩენა, აშენება ქარხნის საჭი-

როებით ყოფილა განსაზღვრული. თორმეტი ძირითადი საამქრო აქვს მარელოსის გრეხილი ავეჯის ქარხანას. წიფლის დიდი ხეები მათი წყალობით იქცევიან ხოლმე ჩვენთვის ნაცნობ, სასიამოვნო სავარძლებად, სკამებად, მაგიდებად.

ქარხნის დირექტორი აშხ. არსენ ცისკარიძე და მთავარი ინჟინერი აშხ. მინა არევაძე დეტალურად გვიხსნიან ყველაფერს. თანმიმდევრულად გვატარებენ ყველა საამქროში მასალის მიმღებიდან გამომშვებამდე.

მასალა მატარებლით მოაქვთ. ვაგონებს დაცლიან. თუ მორები მიიღეს, დამხერხ

მარელოსის ავეჯის ფაბრიკის სკამების ამწყობ საამქროში.



საამქროში აგზავნიან და ოთხკუთხა ლარტყებად ჭრიან. აქედან კი გამორთქლავ ღუმელებში, სადაც მასალა ორთქლში იხარშება, დრეკადი და მოქნილი ხდება. იწყება გრეხილი ავეჯის დამზადების პირველი საფეხურები. მოხარული მასალა დამარგვალბეგლ საამქროში იგზავნება. აქ დგას რამდენიმე დამარგვალბეგელი ჩარხი, რომლებშიაც გავლისას ოთხკუთხა ლარტყა მრგვალ ფორმას ღებულობს.

შემდეგი საამქრო მღუნავი ანუ მგრეხავია. იგი ქარხნის სული და გულია. აქ მიღებულ მასალას რკინის სხვადასხვა ყალიბის მეოხებით აძლევენ სასურველ ფორმას, გრეხენ მას. გამშრობი ღუმელი გრეხილ ნაწილებს ფორმას უნარჩუნებს, რის შემდეგ იგი მექანიკურ საამქროში იგზავნება. აქ მიღებული სკამის უხეში ნაწილები მრავალნაირი ჩარხის წყალობით უფრო სრულქმნილ და დახვეწილ



სახეს ღებულობს. აქედან გამხეხსაამქროში მიდის მასალა. იქ შედგებიან ხორკლების-  
გან წმენდენ და აგლუვებენ, სიმეტრიულს ხდიან მომავალი სკამის ნაწილებს. გამ-  
ძლეობისათვის მასალას წამლავენ და ღებავენ სპეციალური სითხეებით. გამო-  
ბისთანავე ვალაქავენ და დამამზადებელში აგზავნიან. აქ სკამის რამდენიმე ნაწი-  
ლი ერთიანდება, ხოლო ამ ნაწილთა საბოლოო დაკავშირება ხდება ამწყობს სამ-  
ქროში, სადაც ჩვენთვის ნაცნობ, ლამაზ სკამებს ამზადებენ. მთელი მზა პროდუქ-  
ცია გამომშვებ საამქროში მიდის, სადაც ერთხელ კიდევ მოწმდება ავეჯის სიმკე-  
რივე და სიმეტრიულობა. ცალკე დგას საფანერე საამქრო, სადაც საზურგე და  
საჯდომ ფირფიტებს ამზადებენ და სადურგლო საამქრო, სადაც სპეციალურ დაკ-  
ვეთებზე მუშაობენ.

რუსთაველის თეატრის სავარძელთა მოდელები ვნახეთ. ასეთივე სავარძლებს  
ამზადებს ქარხანა ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრისათვის. კარგი რამაა,  
რბილი, ლამაზი, სასიამოვნო. ეტყობა—სიყვარულითაა ნაკეთები.

დიდგაკელები ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანები არიან. ცხოვრობენ, შრომობენ  
და ქმნიან უკეთეს მერმისს. ვაჟკაცები არიან—გული გაგეხსნება რომ შეხედავ.  
ბევრია ძალიან კარგი, შექების ღირსი, მაგრამ რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო.

აი სადურგლო საამქრო. სევასტი შარიტაძე—მაღალი, მხრებგანიერი, მზისფერ-  
თვალბა ვაჟკაცი. შესახედავად 28-30 წლისა იქნება. ღიმილით გვართმევს ხელს.  
საუბარი გაუბი, ცისა და ზარის ამბებზე ვილაპარაკეთ. შემდეგ თავის წარმატე-  
ბებზე ვკითხე, მიაბზო თავმდაბლად, ოდნავი მღელვარებით. მრავალი ჯილდო მიუღია  
მთავრობისგან, პროფკავშირთა საკავშირო საბჭოსა და საქართველოს უმაღლესი  
საბჭოს პრეზიდიუმისგან. ჯერ კიდევ არაა თავისთავით კმაყოფილი.

— მინდა მეტიცა და უკეთესიც გავაკეთო და ვნახოთ, დრო ყველაფერს გვა-  
ჩვენებს — ამბობს ის და თვალბი უღევი ენერგიით უბრწყინავს.


იგი ასეთი ჯანსაღი და ახალგაზრდა, ხუთი შვილის მამაა და ღღელდაღამ მათ  
ღირსეულ აღზრდაზე ზრუნავს.

აგერ, მთელი ქარხნის სიამაყე, მღუნავი ღეგან მანუშაკიანი. აი რაიონული  
საბჭოს დებუტატიც მარია მხილაძე, ღიზა რიბარჩი, ანა ტაბატაძე, შალვა ტყეშე-  
ლაშვილი და რომელი ერთი გინდა ჩამოვთვალო მათგან, რომლებიც გეგმას გადა-  
ჭარბებით ასრულებენ, და შეძლებულად, კულტურულად ცხოვრობენ.

ქარხნის მუშა ახალგაზრდობა გაერთიანებულია მოცეკვავეთა, მომღერალთა,  
დრამატიულ და სხვა წრეებში.

დიდგაკის ზეგით, ჩხერიმელას მარცხენა ნაპირზე ფიჭვის და ნაძვის ხეებიანი  
მწვანე ლამაზი ეზოა. ცისფრად შედებილი მრგვალი შენობა მთელ დიდგაკს გა-  
დაპყურებს. აქაურები მას დიდგაკელთა საერთო აკვანს ეძახიან. ბავშვთა ბავა და  
საბავშვო ბაღია ამ შენობაში მოთავსებული. 3 თვის ბავშვიდან დაწყებული აქ  
ზრდიან 7 წლის ასაკამდე ბავშვებს. სისუფთავე, წესრიგი, დედაშვილური სითბო  
გატყვევებთ და გიზიდავთ ამ შესანიშნავ დაწესებულებაში. ტყის სუფთა ჰაერს,  
ცივ და ანკარა წყალს, ნოყიერ პროდუქტებს და კარგ მოვლას თავისი დალი და-  
უსვამთ ბავშვებისათვის. ისინი ერთმანეთზე კარგები და ლამაზები არიან. სამშობ-  
ლოს პატრიოტები — მარელისის ავეჯის ოსტატები მათთვის შრომობენ. ისინი  
კომუნისმის მოწინავე მშენებლები გაიზრდებიან.

მარე ღისის ავეჯის ფაბრიკაში დამამზადებული სავარძლები  
რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში.




ფაბრიკაში მოხული ხე-ტყის გადმოტვირთვა.

სამთრამაო საამქროში მ. სხილაძე მუშაობის დროს.



მარელისის ავეჯის ფაბრიკის საბავშვო ბაღში.





# გაგაუბო - აბო ასო



რის მსაჯმ, ნესტორ ჩხატარაშვილმა ორივე გუნდი საასპარეზოდ გაიწვია.

სტუმრებს წითელ-ყვითელი მაისურები და შავი ტრუსები ეცვათ. დამცველებს ბუციები აესხათ, თავდამსხმელებს კი ცერები ნაჭრით გადაეკრათ და ფეხშიშველა თამაშობდნენ. ცხადია, მათთან შეხვედრა განსაკუთრებით ფრთხილ მოპყრობას, მორიდებულსა და ფაქიზ თამაშს მოითხოვდა.


მსაჯის სასტვენის პირველსავე ხმაზე გ. ანთაძემ ანგარიში გახსნა. კალკუტელთა შუამარბმა მ. ტანგარაჯმა ისევ ცენტრიდან დაიწყო თამაში; მალე ზ. კალოევმა მეორედ შეარხია ინდოელთა ბაღე. სტუმრებმა ერთხელ კიდევ დაიწყეს ცენტრიდან, მაგრამ რ. მანარაძემ აიძულა მეკარე მ. გატაკი მესამე ბურთი გამოეტანა კარიდან.

სამი ბურთი ექვს წუთში... მომდევნო 15 წუთში ა. კოტრიკაძემ და ზ. კალოევმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და ანგარიში 5-მდე აიყვანეს. ამის შემდეგ სტუმრებიც დაირაზმნენ, იერიშზე გადავიდნენ. შუამარბი მ. ტანგარაჯი თბილისელთა კარისაკენ გაიჭრა, ძნელი მდგომარეობიდან, ზურგშექცეულმა, ბურთი თავზე ოსტატურად გადაიგდო და თბილისელთა ბაღეში გაახვია. თბილისელმა მკაპურებლებმა მჭუხარ ტაშით დააჯილდოეს ინდოელი სპორტსმენი.

სუთით ერთი, — ასე დამთავრდა შეჯიბრების პირველი ნახევარი. შესვენების შემდეგ დინამოელთა კაპიტანმა, ა. ლოლობერიძემ ი. ვარდიმიადის დაუთმო მოედანი, ა. ჭკუასელმა — გოგლიძეს, მეკარე ვ. მარღანიამ — ახალგაზრდა კიტას. თამაშის მეორე ნახევარში ა. კოტრიკაძემ, კ. გაგნიძემ, ზ. კალოევმა და ი. ვარდიმიადიმ თითო ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, მეკარე კიტამაც სამჯერ ძლიერად დარტყმული ბურთი აიღო და ეს საინტერესო შეჯიბრება თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით დამთავრდა—9:1.

ინდოეთისა და საბჭოთა ფეხბურთელების მეგობრულმა შეჯიბრებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ სპორტიც ემსახურება და ამტკიცებს მშვიდობის მომხრეთა ძლიერ ბანაკს.

ოფლი სპორტსმენები ავღანბარის არალეგალურ რესტავრირებულ სტანბაში.




25 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი ადგილი მოიძებნა, მაგრამ მსურველთა რიცხვი მაინც არ დაილია. 100.000 თვალი უცქერდა მეგობრულ ასპარეზობას ფეხბურთში და ათჯერ მეტი ფეხბურთის მოყვარული გულმოდგინედ ისმენდა ფეხბურთის მიმომხილველის რადიოგადაცემას. საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ „ალმოსავლეთ ბეგალიის კლუბის“ (კალკუტა) და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები.

სრულ ექვს საათზე საერთაშორისო კატეგორიული ფეხბურთელები კომკავშირის ხეივანში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა









ორი კაპიტანი, ორი „მეათე ნომერი“—ავტ. ლოლობერიძე და ა. კანი ესალმებიან ერთმანეთს.


ცენტრში: კალკუტის ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი ტ. ჩ. კუზა.

თბილისელთა ერთ-ერთი იერიში.





ზ. კალოვის შიგ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ოსტატურად აიღო მეკარე გატაკვა.

მცველი მოჭყუდა... ლოლობერიძე ძლიერად ურტყამს კარში.







### ღიმილში არაყიშვილი

საბჭოთა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 1953 წლის 13 აგვისტოს გარდაიცვალა ქართული მუსიკის კლასიკოსი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სტალინური პრემიის ლაურეატი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი დიმიტრი ეგნატეს-ძე არაყიშვილი.

დიმიტრი არაყიშვილი ათეული წლების განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა ხალხს, თავდადებულად მუშაობდა ქართულ საბჭოთა მუსიკის შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის, დაუცხრომელი ენერჯითა და სიყვარულით ზრდიდა ხელოვნათა ახალ კადრებს.

გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის მოღვაწეობის სფერო მრავალფეროვანია. 1919 წლის 5 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრში დაიდგა მისი ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველიზე“, რომელმაც მამინვე დამსახურა ფართო მაყურებლის სიყვარული და მას შემდეგ თითქმის არ ჩამოსულა სცენიდან. დიმიტრი არაყიშვილი დიდი აღფრთოვანებითა და გატაცებით უმღეროდა ახალ სოციალისტურ ყოფას, ქმნიდა სიმფონიურ და ვოკალურ ნაწარმოებებს თანამედროვე თემაზე, დაულაღვად უმღეროდა საბჭოთა ხალხის ბედნიერ ცხოვრებას. დიმიტრი არაყიშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ხალხურობა, მისი მუსიკალური ნაწარმოებები ყოველთვის ღრმად რეალობის და ხალხური, სწორედ ამით აიხსნება კომპოზიტორის დიდი პოპულარობა.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა დ. არაყიშვილის ფართო მოღვაწეობას. მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება და სტალინური პრემია, დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის სამი ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედალებით. მიმდინარე წელს სახეიმიოდ აღინიშნა დ. არაყიშვილის დაბადების 80 წლისა და მოღვაწეობის 60 წლისთავი.

ხელოვნების მუშაკები, ჩვენი ახალგაზრდობა და მთელი ჩვენი ხალხი არასოდეს არ დავიწყებთ ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეს.

მასხარაძის სახელობის ორთაჭალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე მიგრიულთან და კოლმეურნეობის აგრ.ონომ აკაკი კარტოზიასთან ერთად, ჩვენ გავცანით საქართველოში პირველ სასათბურო კომბინატის მშენებლობის მსვლელობას.

უზარმაზარ ნათელი შენობის 15 საამქროს ექნება თავისი საკუთარი ჰავა: უფრო ცხელი იქ, სადაც მოყვანილი იქნება კიტრი, ზომიერი იმ საამქროში, სადაც დაითესება პამიდორი. სითბო, საჭირო ტემპერატურებიანი წყლით მორწყვა, განათება, ხელოვნური მზე, ვენტილიაცია — ყველაფერი ეს გამოყენებული იქნება სხვადასხვა კლიმატის შექმნისათვის. ცხელი წყალი — მოთბუნების წყარო — საამქროებში მიწოდებული იქნება მილების საშუალებით. რეფლექტორებიანი ელექტრონათურები ხელს შეუწყობენ სუსტი მცენარეების ზრდას.

სათბურების გვერდით მოეწყობა საპარნიკო მეურნეობა, ანუ როგორც მას კოლმეურნეები უწოდებენ — სასათბურო კომბინატი. აქ გადარიგდება ადრეული კულტურების ჩითილი.

მოსავლის გამოანგარიშება სასათბურო კომბინატში იწარმოებს არა ჰექტარების, არამედ ყოველი კვადრატული მეტრის მიხედვით. ამ კვადრატული მეტრების რაოდენობა არც ისე მცირეა — 5.000!. თუმცა ეს ფართობი ღია გრუნტის ასეულ ჰექტარებთან შედარებით მცირეა, მაგრამ ეს კვადრატული მეტრები ზამთარში, როდესაც, როგორც ცნობილია, წყდება ახალი ბოსტნეულის მოწოდება სხვა წყაროებიდან, მოგვცემენ არანაკლებ 30 ტონა პამიდორს, კიტრს, ბადრიჯანს და სხვა ბოსტნეულს. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მყარი მოსავალი იქნება, დამოუკიდებელი ამინდის ჭირვეულობისაგან.

მაგრამ სასათბურო კომბინატის უპირატესობა მართო ამაში როდი გამოიხატება: პირველ ყოვლისა ის საშუალებას იძლევა ხელოვნური ჰავის შემწეობით ერთი და იმავე ფართობიდან ზამთრის განმავლობაში ორი მოსავალი მოვიყვანოთ და შემდეგისთვის უზრუნველვყოთ მაღალხარისხოვანი ნერგით ღია გრუნტის მზარდი ფართობი.

თბილისის მშრომელებს ზამთრობით ახალ ბოსტნეულს მიაწოდებს არა მართო ორთაჭალის სასათბურო კომბინატი. მიმდინარე წელს განზრახულია სათბურების აგება ბოსტნეულის ადრე მოსაყვანად გარეუბნის სამ კოლმეურნეობაში — დილომის, აგჭალის და გლდანის კოლმეურნეობებში.

ბოსტნეულის მოყვანას სასათბურომეურნეობაში, რა თქმა უნდა, არ შეუძლია გადაწყვიტოს სამრეწველო ქალაქების ირგვლივ მსხვილი საბოსტნე ბაზის შექმნის პრობლემა და კერძოდ ქალაქ თბილისის ირგვლივ. იმ ამოცანებთან შესაბამისად, რომლებიც დაყენებულია პარტიის მე-19 ყრილობის მიერ და საბჭოთა მთავრობის მეთაურის გ. მ. მალენკოვის სიტყვაში სრულ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიოზე, გარეუბნის კოლმეურნეები და მათ შორის ორთაჭალის სასოფლო-სამეურნეო არტელი, მოწოდებული არიან რამდენიმეჯერ გაადიდონ ბოსტნეულის პროდუქციის მოყვანა. ხუთწლედის ბოლოს ორთაჭალელმა მებოსტნეებმა საბოსტნე ნაკვეთების ოდენობა 400 ჰექტარამდე უნდა აიყვანონ, ნაცვლად 220 ჰექტარისა. პროდუქციის სასაქონლო გამოსავალი 1955 წელს უნდა შეადგენდეს 57.000 ცენტნერს, ე. ი. გასულ წელთან შედარებით სამჯერ მეტს.

მებოსტნეობა გარეუბნის რაიონის მასხარაძის სახელობის კოლმეურნეობის წამყვანი დარგია. მაღალი მოსავალი, რომელსაც ყოველწლიურად ლეზულობს კოლმეურნეობა, 2.000.000 მანეთზე მეტ შემოსავალს იძლევა წელიწადში, რაც არტელის ყველა შემოსავლის სამ მე-სამედს შეადგენს. კიდევ უფრო გაიზრდება მებოსტნეობისაგან შემოსავალი მეხუთე ხუთწლედის ბოლოს. უკვე მიმდინარე წელს შრომადღის ღირებულება, გასულ წელთან შედარებით გაიზრდება ორნახევარჯერ.

ორთაჭალელი მებოსტნეები კარგ მოსავალს იღებენ არა მართო მაღალმოსავლიანი ჯიშების შერჩევით, არამედ კარგი მოვლითაც, მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებით. მიუხედავად ამისა, მებოსტნეების წინაშე მდგარი ამოცანები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი გადაწყვეტა მეურნეობის თანამედროვე დონის მიხედვით ძნელია.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მწვავედ დგება საკითხი სამუშაოთა მექანიზაციისა.

— ჩვენთვის ცნობილია, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მ. მიგრიული, — რომ საბჭოთა კონსტრუქტორებმა შექმნეს მანქანები ბოსტნეულის დასათესად, კულტივატორები ბოსტნეების მოსავლელად. მაგრამ ჩვენამდე მათ არ მოუღწევიათ, და თელეთის მანქანა-ტრაქტორების სადგური, რომელიც ჩვენს კოლმეურნეობას ემსახურება, მხოლოდ მოხვნაში გვეხმარება.

სამართლიანი საყვედური! მებოსტნეობა — სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი შრომატევადი დარგია და მექანიზატორები ვალდებული არიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ გააადვილონ მებოსტნეების შრომა.

ახლა ორთაჭალის კოლმეურნეების ნაკვეთებზე გახსრებული მუშაობაა. როგორც ყოველ გაზაფხულის და ზაფხულის დღეს მიმდინარეობს მოსავლის აღება და ნათესების მოვლა. კომბოსტოს მასობრივად აღებასთან ერთად გაიშალა პამიდორის კრეფა. ყოველ დღე კოლმეურნეობა ქალაქის ბაზრებზე გზავნის 10 ტონამდე შესანიშნავ ნაყოფს.

იმისათვის რომ ამ ზამთრის ფაბრიკამ იანვარში, თებერვალში და მარტში ქალაქს მისცეს ახალი პამიდორი, ბადრიჯანი ან საზამთრო, საჭიროა უკვე ოქტომბრისათვის დამთავრებული იქნეს არა მართო მისი სასათბურო კომბინატის მშენებლობა, არამედ მოწყობაც. აჩქარებენ რა მშენებლებს, ორთაჭალელები თვითონ ემზადებიან დახურული გრუნტის პირობებში მუშაობისათვის, დიდი ინტერესით ისმენენ ამ საკითხზე აგრონომთა საუბრებს და აზუსტებენ იმ ბოსტნეულის ჯიშებს, რომლებიც მოყვანილი იქნება სათბურებში. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ადღერიდან დაბრუნდნენ ორთაჭალელი კოლმეურნეები. ისინი ადღერის სათბურებში ეცნობოდნენ ბოსტნეულის მოყვანის პრაქტიკას.

მომავალ ზამთარს თბილისის მშრომელები პირველად მიიღებენ ახალ, ზამთრის ბოსტნეულს!





# კოქსი ლირა

ლიბარო ბიჯარაძე

მოთხრობა

მატყარი ალ. ბანძელაძე

ანდრეამ კარი შეაღო, მასთან ერთად სადგომში ქარი შემოიჭრა, რომელმაც ყინულივით ცივი წვიმის შეფხვები შემოიტანა.

— დახურე! დახურე რაღა! — იყვირა ანჯელამ. ანდრეამ კარი მიხურა და ზღურბლზე შემდგარმა, წვიმის წვეთები დაიბერტყა. შემდეგ ნაბიჯი გადადგა და იკითხა:

— ლუმელი ვერ დაწით?

— ვერასვით ვერ გავადვივე, საკვამლური არ უშვებს, თუ რა მოუვიდა, ვერ გავიგე. როგორც კი დაანთებ — სულ კვამლით ივსება, მერე ახანთიცი გამითავდა...

ანდრეამ ჯიბიდან ახანთი ამოიღო და პაწაწა ლუმელთან დაიღუნა.

— ხედავ? — უთხრა ანჯელამ, — ისევ კვამლია.

— დამაცა.

ოთახი კვამლით აივსო, მაგრამ მოკიდებული გაზეთების ალისაგან, ლუმელში ჩაღებულმა ნახშირის რამდენიმე ნატეხმა მაინც დაიწყო ბუტბუტვა, ანდრეა წელში გასწორდა და გაციებულ ხელებს ცეცხლზე თბობდა დაუწყა.

— არასოდეს ასე არ ციოდა, როგორც წელს. — თქვა მან.

— შენ ყოველ წელიწადს აგერ ამბობ... — ნინო როგორაა! — ჰკითხა ანდრეამ.

— ძინავს.

— რა აქამე?

— ცოტა შეჭამალი მივეცი და ვაშლი.

— ჩემთვის დარჩა რამე?

— კი, ოღონდ ნამცეცი ერბო არა გვაქვს.

ანდრეამ მხრები შეიმშრუნა: ერბო მას არც ეგულებოდა და ჩაიბუტბუტა:

— მთელი თავი წვიმს.

— პირდაპირ რაღაც უბედურებაა...

— ჩვენ კი ამ გალიაში ყველაზე უბედური ვართ, — წარმოთქვა ანდრეამ და იქაურობას თვალი მოავლო.

მართლაც, ძნელი იყო მათი საცხოვრებლისათვის სახლი ან ოთახი გეწოდებინა, უფრო სწორი იქნებოდა თუ მას სახელდახელოდ შემოღობილ სივრცეს უწოდებდით. განა უანგინი რკინის ნატეხებით, მუჟაოთა და დამპალი ფიცრებით ადამიანის საცხოვრებელს აგებენ? ანდრეას გაახსენდა როგორ უშენებდა იგი ვილას მდიდარ როზელს. „რკინაბეტონი არ მინდა — იძლეოდა განკარგულებას ეს ახირებული ბუბერი. — მე მსურს პირველ სართულში იყოს სამოცსანტიმეტრიანი აგურის კედლები და მეორეში — ორმოცდასთუთიანი“. — ალბათ ეს იყო მთლიანად აგურისაგან აგებული უკანასკნელი სახლი რომში, გაიფიქრა ანდრეამ.

— როგორაა საქმე? ჰკითხა ანჯელამ.

— რა საქმე?

— სახლში მიუსწარი?

— კი.

— მერე, არაფერი არ მოგცა?

— აბა რა უნდა მოეცა? ამის იმედი სრულებითაც არ მქონდა.

— მაინც რა გითხრა?

— მან მითხრა, — ნაძალადევი ღიმილით უბასუხა ანდრეამ, — რომ ასეთ მდგომარეობაში ჩემი ნახვა ძალზე არ სიამოვნებს.

— ესა ყველაფერი?

— დიახ, ყველაფერი. მთხოვა კიდევ მოვინახულო. დაიწყო იმ დროის გახსენება, როდესაც პატარა ბიჭები ვიყავით.

— კარგი მეგობრები იყავით, — ამოიხრა ანჯელამ.

— ვიყავით, მაგრამ როგორც მომიყვა, ახლა თვითონაც ბევრი საზრუნავი აქვს თურმე, ამ დროში მასაც უჭირს ცხოვრება, რადგანაც მხოლოდ ფენსაცემის ორი მაღაზია აქვს. ძვირად უჯდება თურმე უფროსი ვაჟის მჭურნალობა, ამას გარდა მისე სწავლებაც დიდ ხარჯს მოითხოვს. საერთოდ ისე გამოვიდა თითქოს პირიქით, მე უნდა მერე უგებინა.

— ან ღორი!

— ყველანი ღორებად იქცევიან, როდესაც ფული გაუჩნდებათ. ის ხომ ოდესღაც კარგი ბიჭი იყო... რამდენჯერ უშეგია დედაჩემს მისთვის საუზმე.

— მაგრამ, მაინც შეუძლებელია, რომ არაფერი შემოეთავაზებინა.

— არა, რატომ, ფინჯანი ყავა შემომთავაზა.

— ეს ყველაფერი შენი ბრალოა, ვიცი შენი სიამაყის ამბავი. ხედავ, იმის გამო, რომ შენ თავის დამცირებად არ შეგიძლია, ჩვენ შიმშილით უნდა ამოვწყდეთ.

— აბა, ისევ იწყება...

— დიახ, იწყება, — მართო ყვირილი ცოლმა. — როდესაც კაცს ბედი არ წყალობს, სხვა საქმეა, მაგრამ შენ თვითონ ხარ დამნაშავე, ყუყურო!

— გაჩუმდი!

— ჰო, რა თქმა უნდა არ გსიამოვნებს მოსმენა! მაგრამ განა შეიძლება, რომ ორი მაღაზიის პატრონმა გაჭირვებაში ჩავარდნილ ძველ მეგობარს ათასი ლირა არ მისცეს?

— ჰო, სწორედ ათასი ლირა.

— რას ბურღედუნებ?

— არაფერს... არ მომცა არც ათასი, არც ასი ლირა, გენმის? კმარა ამაზე ლაპარაკი.

— ტუუის, თითქოს ცუდად მიუღიოდეს გაჭრობა, — განაგრძობდა თავისას ანჯელა. — ამ ზაფხულში მთელი ოჯახით ზღვაზე იყვენენ, შენ იცო, რომ მას მანქანა აქვს? ანდრეამ მხრები შეიმშრუნა და ჰამას შეუდგა.

— მე თვითონ უნდა წავსულიყავი, — ისევ დაიწყო ანჯელამ. — მე ავუსხნიდი, რომ სამუშაოს ეძებ. შეიძლება მას მაღაზიაში სანდო კაცი სჭირდებოდეს.

— ეგ მე ვარ სანდო? პირდაპირ სასაცილოა, —

თქვა ანდრეამ და ნაძალადევად გაიცინა. — გინდა იცოდეს, რა მიხსრა? „რა სავალოლოა, რომ მეწადე არა ხარო“.

— შენ რა უბასუხე?

— მე ვუთხარი, რომ, როდესაც მუშაობას ვიწყებდი, არ ვიცოდი თუ ის ფენსაცემლების ვაჭრობით გამიდრდებოდა.

— აი ხედავ, — წამოიძახა ანჯელამ, — ხედავ?

გოროზად მოაჩვენე თავი და გააჯავრე. — კარგე, საქმეა! შენ საქმელი არ გაგაჩნია, შენ კი იმის მაგივრად, რომ გეთხოვა...

— მე ვთხოვე.

— ვიცი, როგორც თხოვდი ალბათ ისე გადახედე, როგორც ზოგჯერ მე მიცქერი. ასეთი ვამოხედვა ნერვებზე მოქმედებს, ნუთუ ეს არ იცი?

— შენის აზრით, რა უნდა მექნა?

— უნდა გეთქვა, რომ ნამდვილად გვიჭირს, აი რა! მე რომ წავსულიყავი, მე იმას ავამოძრავებდი.

— აბა, რასაკვირველია, შენ ვის არ აამოძრავებ...

— უნებო! ხებრე! ჩემი შეურაცხყოფაც გინდა? დაგავიწყდა, როგორი ვიყავი წინათ, აღარ გახსოვს?

— წინათ მეც სხვა ბიჭი ვიყავი. ტირილით თავლები დაგისივდა, გაყრა რომ დაგპირე.

— რატომ არ გამეყარე, ღმერთო ჩემო! რატომ მოვტყუედი ასე!

— აბა, კმარა, გეყოფა! პური მომე, თუ არის.

— ანდრეა, მომისმინე. საჭიროა რაღაც მოვიმოქმედო. ჩვენ მხოლოდ ორასი ლირა დავგრჩა. მერე რა მოგვივა? მიდი კიდევ, ხვალ მიდი.

— სად?

— მასთან. შეიარე, თხოვე, უთხარი, რომ ვაჟი შიმშილით მიკვდება. ადამიანის გული ხომ აქვს! პირდაპირ სთხოვე ფული.

— ვერა.

— აი ხედავ, როგორი ხარ: შიმშილით კვდება, ამპარტავნობას კი არ იშლი.

— აბა, რა მაქვს საამპარტავნო, რა შუაშია აქ ამპარტავნობა? ეს პირდაპირ სასაცილოა!

— მაშ წადი მასთან.

— არ შემიძლია.

— რატომ არ შეგიძლია?

— ხვალ საქმე მაქვს.

— რა საქმე? განა სამუშაო იშოვებ?

— დიახ, ხვალ ჩვენ ყველანი ვიმუშავებთ.

— ვინ ყველა?

— ყველა მამაკაცი, ვინც კი ამ დაბაში ვცხოვრობთ. უნდა შევკეთოთ ქვაფენილი, გავწმინდოთ სადინარები, რომ ნიაღვარმა არ წავგვლებს.

— ა, ცნობილი „პირუტყულმა გაფიცვა“. მუნიციპალიტეტს არ სურს ჩვენთვის არაფრის გაკეთება, ამიტომ თქვენ თვითონ ჰკიდებთ ხელს; და მასთან დამე არც ერთ სალდოსაც არ მიიღებთ.

— ეს უმჯობესია, ვიდრე გულხელდაკრეფილი იჯდე და შენ ლიქლაქს უსმინო.

— არა, ეს უკვე მეტისმეტია! შენ ჰქუაზე ხარ? სახლში არც ერთი ლირა არ არის, სენიორს კი სურს უფასოდ იმუშაოს. ხვალ მე თვითონ წავალ მასთან, რაც უნდა ილაპარაკო!

— ვერ მოხიბლავ, თავს ნუ იწუხებ! ოდესღაც მას მოსწონდი, ვიცი, მაგრამ ახლა...

— არამადა ხარ ამის შემდეგ! უშენოდაც ვიცი, რასაც დამამსგავსა ასეთმა ცხოვრებამ... სულ ყველაფერში შენ, შენ ხარ დამნაშავე! — წამოიყვირა ანჯელამ ცრემლების ფრქვევით.

ატყრებული გაიმხლართა ლოგინზე და ზღუქუნით განაგრძობდა:

— ეს შეუძლებელია... ჯობს თავი მოიკლა... შენ არაფრად არა ხარ გამოსადეგი... ათასი ლირაც კი არ შეგიძლია მოისესხო...

ანდრეა გაცოფებული წამოვარდა, სკამი გადააყირავა.

— კმარა ერთხელ კიდევ რომ წამოგცდეს ათასი ლირის შესახებ, საქმე ცუდად წავიდა!

ანჯელა გაჩნდა, რადგან დინახა, რომ სიტყვები ამოა იყო და რომ ასეთ მდგომარეობაში შეიძლება ჰმარს დაერტყა. მას უზომო დალილიობა მოერია.

ანდრეა ოთახში ბოლოას ცემდა, თან კუშტად ბურღედუნებდა:

— ათასი ლირა... ათასი ლირა...

მან სკამი თავისკენ მოსწია, ზედ მხედრულად დაჯდა, ხელები სკამის ზურგზე დააწყო და ნიკაპით მუშტებზე დაეყრდნო. ანდრეა უცქერდა თავის ბიჭუნას, რომელიც ძილში მოუსვენრად ბორკავდა და თავის დღევანდელ საქციელზე ფიქრობდა. ისევ და ისევ ახსენებოდა მას ფენსაცემლების მაღაზიის მფლობელის დამამცირებელი სიტყვები, რომლის კბოლმ და გამოთქმებმა იგი ააბოლიტოეს და გაცხარეს. როგორ უნდოდა ახლა მას ანჯელასთვის ეამბნა ყველაფერი, გული ეჯერებინა. ეთქვა მისთვის იმის შესახებ, თუ როგორ მიყარა სახეში ის ათასი ლირა — თავის ყოველ მეგობარს.

თარგმნა პ. კაპაბაძემ





ვარძია. მტკვრის ხეობისა და ნაქალაქარის დასავლეთი ნაწილის ხედი (ცენტრში — სამრეკლოს ნანგრევები)

# მ მ რ ძ ი მ

## გივი გაურილაშვილი

თამარმა „კლდისაგან გამოკვეთა თვით პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანა შეუვალ და უბრძოლველ ყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელი დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ და შესწირნა მრავალნი და დიდროვანი სოფელნი და შეუმხადა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი და პატიოსანი, რომლისა ყოვლისაი მოთხრობაი ძნელ არს, თუ ვისმე ჰნებავს ამისგანცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი, ქმნულნი და ნაშენები ქუაბქმნილი“.

ასე მოგვითხრობს თამარ მეფის თანამედროვე მევატიანე, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის უძვირფასესი განძის ვარძიის ქვაბული ქალაქის დაარსების ამბავს.

ვარძია მდებარეობს ჯავახეთში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ასპინძიდან 30 კილომეტრის დაშორებით.

ხერთვისის ზემოთ, ვარძიის მიდამოებში მგზავრის თვალწინ იშლება ისტორიული საქართველოს ამ მხარის მეტად თავისებური და მდიდრული სურათი.

მტკვრის ხეობაში ნწვანე ზოლივით გაწოლილა საკოლმეურნეო ხეხილისა და ახლად გაშენებული ვენახის ბაღები, ირავლივ კი უხარმახარი ვაშიშვლებული კლდეები აღმართული. მთელი მიდამო კლდის ვეებერთელა ნანგრევებსა და ქვების გროვას დაუფარავს.

სხვა ადგილებში მუდამ მჩქეფარე მტკვარი, ვარძიის ქარაფის ძირში მდუმარედ, ვერცხლისფერ ზოლად გაწოლილა.

ხერთვისის ციხე. გელსუნდის, ნავარძიევის, ფიის, ჯოლდის ქვაბულთა კომპლექსები, წუნდრის ეკლესია, თმოგვის ციხე-ქალაქის ნანგრევები, ვანისა და ვარძიის ქვაბთა არქიტექტურული ანსამბლები — სულ

რალად თექვსმეტოდე კილომეტრზე განლაგებულან სამანქანო გზის ორივე მხარეს. სამეფოვან უხარმახარ კლდის მასივში, მრავალსართულად განლაგებულ საცხოვრებელ სენაკებს, კედლის მხატვრობით მორთულ ეკლესიებს, თავდაცვითსა და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს, წყალსადენის, სარწყავი სისტემისა და სამონასტრო საცხოვრებლის სპეციფიკურ დანიშნულების ქვაბულებთან ერთად, ალტაცებაში მოჰყავს ექსკურსანტთა და ტურისტთა დაუსრულებელი ნაკადი.

ვარძიაში ამჟამად მთავარი გზა ქარაფს დასავლეთიდან მიჰყვება და სამრეკლოს გავლით, რომელიც კლდის ქიმიზე წამომდგარი, ცენტრალურ ნაწილში შედის. სამრეკლომდე გზის მარცხნივ ფერდობზე რჩება ანაწური ეკლესია და მის გარშემო შექმნილი ქვაბულთა ჯგუფი.

ვარძიის ქვაბულ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს ღვთისმშობლისმძინების ტაძარი წარმოადგენს, რომელიც ქვაბთა ქალაქის მეოთხე სართულზე მდებარეობს. მის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს შვეული კლდის ფერდობზე ჰორიზონტალურად შექმნილია მრავალსართულიანი ტერასები, რომლებზედაც განლაგებულია ქვაბულები. ქალაქის სართულიანობა სხვადასხვაა... თუ იგი აღმოსავლეთ ნაწილში შეიდსარაულნიანი, დასავლეთ ნაწილში ათ სართულს აღწევს. ქვაბულები ერთმანეთთან დაკავშირებულია კლდეში ნათალი საფეხურებით, ქვის კადეებით და ტერასებით, რომლებიც ძირითადად ქვაბულთა ნანგრევებზე გადის.

ზოგიერთი ნიშნების მიხედვით, ქვაბულთა გარკვეულ ნაწილს შეიძლება მიეცეს საკუთარი სახელწოდება. ასეთებია: საკრებულო, სატრაპეზო, სალხინო, მარანი, საგანძურნი, საწნახელი და სხვ.

ვარძიის ქვაბულთა მონასტრის თავდაცვითი ნაგებობების ძირითადი ნაწილი დანგრეულია; შემორჩენილია მხოლოდ თავდაცვითი-სამალავი თუ ქალა-

ქის სართულების დამაკავშირებელი გვირაბები, გვირაბები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ვარკვეულ თავდაცვით ლაბირინთებს ქმნიან. მათ შორის ორი აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში — ქალაქში ამოსავლელი გვირაბები უნდა ყოფილიყო. გვირაბების სიგანე — 100-110 სმ-ია, სიმაღლე — 140-80 სმ-მდე.

ქვაბთა ქალაქის სასმელო, წყლით მოპარაგების საქმე ბრწყინვალედ არის გადაწყვეტილი. ამ მიზნით ხედა ვარძიიდან (ამჟამად ნასოფლარია) გამოყვანილია ექვსი კილომეტრის სიგრძის წყალსადენის გვირაბი; გვირაბში დაბეტონებული კვრამიკული მილებით, წყალი თვითინებით მოდიოდა ვარძიაში.

წყალსადენის გვირაბის ქვემოთ შემორჩენილია სარწყავი არხის გვირაბის ნაშთი, რომლითაც ირწყვებოდა ვარძიის ფერდობებზე გაშენებული ბალვენახები. თვით ქვაბულ ქალაქში, ტაძრის დასავლეთით, კლდეში გამოკვეთილია წყაროს აუზი, მეტად სასიამოვნო სასმელი წყლით.


კლდის მასივი, რომელშიაც ქვაბულთა ქალაქია გამოკვეთილი, სამი სხვადასხვა ფენისა და ფერის ვულკანური წარმოშობის ტუფებისაგან შესდგა. ქვაბულები კი მხოლოდ შუა მოვარდისფერო-მოყვითალო ფენაშია გამოკვეთილი; ქვაბულები გამოკვეთილია წერაქვის ფერტიკალური და ირიბული დარტყმებით, რომლის ნიშნები ყველა ქვაბულს ეტყობა.

მთელი ქალაქის სიგრძე შეიდასი მეტრია, ქვაბულები გამოკვეთილია ზღვის დონიდან საშუალოდ 1300 მეტრზე. ამჟამად ვარძიაში შემორჩენილია 600 მეტრ ქვაბული.

ვარძიის ზურთომოდგომებს ქვაბული ქალაქის მშენებლობისათვის ხედმიწვევით შეუსწავლიათ გეოგრაფიული გარემო და ქალაქისათვის გეოლოგიური თვალსაზრისით, ქვეყნის მხარეების გათვალისწინებით, საუკეთესო ადგილი შეურჩევიათ. ამის შედეგად ქალაქი გამოკვეთილია რბილი ტუფის ფენაში, რომელიც ადვილად მუშავდება დანით; აიან საშუალება მისცა მშენებლებს რაციონალურად ეწარმოებინათ ქვაბულების გამოკვეთა. ქალაქი შექმნილია კლდის სამხრეთ ფერდობზე, რითაც უზრუნველყოფილი იყო იგი მზის უხვი სხივებით, ეს კი ქმნიდა საყოფაცხოვრებო საუკეთესო პირობებს. თვით ადგილმდებარეობას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. მტკვრის ხეობაში გამოკვეთილი ქვაბული ქალაქი ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა.

კლდის პირზე, ქვაბების წინ, ისევე, როგორც ტაძრის წინ არსებობდა სტოა, რომელიც ქმნიდა გადახურულ ტალანს; ტალანგში არსებული საფეხურებით, პანდუსებით და ამისთანავე გვირაბებით ხორციელდებოდა ქვაბულ ჯგუფებს შორის კავშირი. ქვაბულების დაგეგმარება ჰორიზონტალურია. ძირითადად შექმნილია ოროთახიანი და სამოთახიანი ბინები, რომლებიც ქვაბულ საბინაო მშენებლობის განეთარებულ სახეობას წარმოადგენენ. ამჟამად ქვაბულები დანიშნულებისა და დამუშავების მხრივ ორ ჯგუფად იყოფიან: ძირითადი და დამხმარე სათავსოთა ჯგუფები. ძირითადი ე. ი. საყო-

ვარძია. აღმოსავლეთი ნაწილი, საკრებულოს გეგმა. (სამქვაბიანი ბინა).





ფაქტორები, სახეიმა ან სატრაპეზო დანიშნულების ქვაბულები დამუშავებულია გეომეტრიულ ფორმებში ღრმა ნიშებით, მარტივი საპირით დამუშავებული თალებით, სახატებით, ჩამოსაჯდომი მერხებით, ტახტებით; კედლები მოპირკეთებულია სუფთად. დამზარე სათავსოები კი დამუშავებულია უხეშად და მათ გეომეტრიულ ფორმებს, უმთავრესად ყურადღება არ აქვს მიქცეული.

ქურის სახეები სხვადასხვაა: ცენტრალური ქვაბების ძირითადად კამარისებრი, სფეროსებრი, პარაბოლური და კასრისებრია. დამზარე სათავსოები კი უმთავრესად ბრტყელი, ისიც უხეშად დამუშავებული. სათავსოთა ზომები სხვადასხვაა, ზოგიერთი მათგანი სიგრძით 7, 10, 13 მეტრია; სიგანით 5, 7, 8 მეტრი, სიმაღლე კი 3-დან 11 მეტრამდე.

ვარძის ფასადი მთლიანად ჩამონგრეულია და დღესათვის არსებული ქვაბულების ნაქალაქარის სახე, ძირითადად მის ვერტიკალურ კრილს წარმოადგენს.

ვარძიაში თორმეტამდე ეკლესიის ნაშთია შემორჩენილი. მათ შორის მნიშვნელოვანია ტაძარი და ანაწური ეკლესია, რომლებშიც კედლის მხატვრობაა შემორჩენილი.


ტაძარი მოხატულია რელიგიური სიუჟეტებით, ამასთან მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მშენებლებს, რომლებიც გამოსახულნი არიან ჩრდილო კედელზე მთელი ტანით. აღმოსავლეთის ნიშში გიორგი მესამისა და თამარ მეფის, ხოლო დასავლეთის ნიშში ქართლის ერისთავის რატი სურამელის პორტრეტებია.

რატი სურამელის პორტრეტი კარგა ხანია მეცნიერთა ყურადღების ცენტრში იდგა, მაგრამ მის გვერდით არსებული წარწერის დაზიანების გამო, აღნიშნული პორტრეტი უცნობი რჩებოდა. მხოლოდ წარწერის ქიმიურად აღდგენის შედეგად შესაძლებელი გახდა მისი ვინაობის დადგენა.

ტაძრის კედლის მხატვრობაში, რომელიც გიორგი მხატვრის მიერაა შესრულებული, მოცემულია

ცელ ნახევარში ივანე ათაბაგის მიერ; მე-15—მე-16 საუკუნეებში, როდესაც ქვევრები ჩაყარეს ვარძიაში და შექმნეს მარნების მრავალი ჯგუფი, როგორც ცალკე, ასევე საცხოვრებელ კომპლექსებთან გადაკეთება მოხდა ქვაბულ ჯგუფთა შორისაც.

როგორც ცნობილია, საშუალო საუკუნეებში სწავლა-განათლების კერა სამონასტრო დაწესებუ-



ვარძია. აღმოსავლეთი ნაწილი. გვირაბი.

ლებში არსებობდა. მონასტრები წარმოადგენდნენ კულტურულ-ლიტერატურულ შემოქმედების ცენტრებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ეროვნული მწერლობისა და კულტურის აღმავლობას.

ვარძიაც, რომელიც მესხეთის მონასტრებს შორის დიდ და პატიოსან მონასტრად მოაზრებდა, წარმოადგენდა კულტურის კერას, რომელსაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ეროვნული კულტურისა და ქართველი ხალხის გონებრივ ზრდა-განვითარებაში.

ვარძიამ, როგორც თავდაცვითმა ნაგებობამ საუკუნეების მანძილზე დაიცვა ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილი ფიზიკური განადგურებისაგან.

ვარძია თამარ მეფის ხელში იდოლოგიური ხემოქმედების იარაღს წარმოადგენდა. ამით იყო გამოწვეული ის, რომ ქართველთა მხედრობას ბრძოლაში ვარძიის ღვთისმშობლის სახელით ისტუმრებდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო 1204 წელს, ბასიანის ომის დაწყების და დამთავრების დროს, როდესაც თამარმა ქართველთა მხედრობა ვარძიაში შეკრიბა. ამ ბრძოლაში ქართველთა გამარჯვების შემდეგ ვარძიის ღვთისმშობელმა შორს გაითქვა სახელი, როგორც „სასწაულმოქმედმა“ ძალამ. ქართველთა ამ გამარჯვებას უძღვნა თავისი სამადლობელი იამბიკო „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“ თამარის მხედრობის ამ გამარჯვების უშუალო მოწამე იოანე შავთელმა.

შემატებულად გამოგვეყვას, რომ სპარსელებზე გალაშქრების წინ, 1210 წელს, თამარმა ლაშქარი „შეაგდრა მასვე ვარძიისა ღვთისმშობელსა“.

1551 წელს შაჰ-თამაზის მესამე შემოსევის დროს ვარძიამ დიდი ნგრევა და აზრება განიცადა სპარსელების მიერ, რომლებმაც სრულიად გაძარცვეს ვარძიის მონასტერი. ამის შემდეგ იგი წელში აღარ გასწორებულა. 1578 წელს თურქი დამპყრობლების მიერ ოკუპირებულ იქნა მესხეთ-ჯავახეთი.

თურქების ბატონობის პერიოდში ნადგურდებოდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულ-

ტურა; მათ შორის ვარძიაც განადგურებას განიცდიდა.

თურქების ბატონობის პერიოდში ვარძიამ დაკარგა თავისი პირვანდელი იერი და ბრწყინვალეობა; მაგრამ უპატრონოდ მიტოვებულ, ნანგრევებად ქცეულ ვარძიას მნიშვნელობა მაინც არ დაუკარგავს, იგი თავის გარშემო იკრებდა ქართველებს, სტეპდა და უნერგავდა მათ სამშობლოს სიყვარულსა და მშობლიური კუთხის განთავისუფლებისათვის რაზმავდა მესხეთის საუკეთესო შვილებს.

ასე მოაღწია ვარძიამ 1829 წლამდე, როდესაც დიდი რუსი ხალხის დახმარებით მესხეთ-ჯავახეთი განთავისუფლებულ იქნა თურქების მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან.


დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როგორც ყველა ეროვნული მატერიალური კულტურის ძეგლები, ვარძიაც ყოველდღიური მოვლა-პატრონობისა და მეცნიერული შესწავლის ობიექტად გადაიქცა.

1938 წელს ვარძიაში დაარსდა მუზეუმი, რომელიც 1941 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადავიდა.

ვარძია დიდი მნიშვნელობის ძეგლია საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ ისტორიაში.

საცხოვრებელ ქვაბულთა ნაირსახეობაში ნათლად ჩანს ის სოციალური დაყოფა და უთანაბრობანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ მონასტრებში.

ვარძიის არქიტექტურული ანსამბლი მოწმობს მაშინდელი საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკურ



ვარძია. აღმოსავლეთი ნაწილი. მარანი.

ძლიერებას, ქართველი ხალხის დაუმრეტელ შემოქმედებით ენერგიას, უდიდეს შრომის უნარს, გვიჩვენებს სამშენებლო ხელოვნების დიდ განვითარებას საქართველოში.

საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი ვარძიის არქიტექტურული ანსამბლის მეცნიერული შესწავლის, პოპულარიზაციისა და დაცვისათვის.

ვარძია. ცენტრალური ნაწილის ორთაღედი (ტაძრის სტოა).



ვარძია. გიორგი მესამისა და თამარ მეფის პორტრეტები.

საინტერესო ნაირსახეობის ორნამენტული აშები. როგორც ცნობილია სულ დღემდე მოაღწია თამარ მეფის ოთხმა პორტრეტმა: ვარძიაში, ბეთანიაში, ყინწყისსა და ბერთუბანში.

ვარძიაში თამარის პორტრეტი შესრულებულია მის ქალიშვილობაში, მამის—გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ.

ტაძრის კედლის მხატვრობა შესრულებულია 1184-86 წლებს შუა.

ვარძიის ქვაბული ქალაქის ცენტრალური ნაწილის გამოკვეთა მიმდინარეობდა დაახლოებით 30 წლის განმავლობაში, ხოლო მთლიანი ქვაბული-ქალაქის მშენებლობას, როდესაც იგი მომქმედ სამონასტრო ადგილს წარმოადგენდა, დასკირდა დაახლოებით 48 წელი. ამასთანავე ვარძიაში შემდეგი საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა ამა თუ იმ ნაწილის გადაკეთება და სამონასტრო კომპლექსის გაფართოება. მაგ. სამრეკლო და ცენტრალური ორთაღედი აშენდა მე-14 საუკუნის დასაწყისში ბექა ათაბაგის დროს და სატრაპეზო—მე-15 საუკუნის პირ-



## ბ. ნალაიჩივილი

დიდმა რუსმა მწერალმა ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოიმ ჭადრაკის თამაში უფროსი ძმისაგან ისწავლა. მალე მან თავის მასწავლებელს გაუსწრო. ტოლსტოის პირველი სერიოზული მასწავლებელი ჭადრაკში იყო 50 - 60 წლების ცნობილი რუსი მოჭადრაკე ს. ს. ურუსოვი, რომელიც მან გაიცნო სევასტოპოლის დაცვის პერიოდში — 1854 წ. სევასტოპოლში ურუსოვს დიდი მუშაობა გაუწევია საჭადრაკო ხელოვნების ბოჰულარიზაციისათვის.

ტოლსტოის ინგლისელი მთარგმნელი და ბიოგრაფი ელმერა მოოდი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ურუსოვმა სევასტოპოლის გარნიზონის უფროსს სთხოვა დახმარებოდა ინგლისელებთან მატაის მოწყობაში, მაგრამ უარი მიიღო. ურუსოვთან დაახლოებამ, რა თქმა უნდა, გარკვეული როლი შეასრულა შემდეგში ჭადრაკისადმი ტოლსტოის სწრაფვაში. სევასტოპოლის დაცვის შემდეგ ტოლსტოი ვაგნაგინილ იქნა პეტერბურგში. მას ურუსოვმა წერილი გაატანა ი. ვ. კირიევსკისთან, რომელშიც სხვათა შორის წერს: „გვმუდამლობ თქვენს წინაშე საუკეთესო ლიტერატორსა და მასთან ერთად მოჭადრაკეს, ჩემს მოწაფეს გრაფ ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის“ (რუსული არქივი ტ.3, 1903 წ.).

ცნობილია, რომ პეტერბურგში ტურგენევი რამდენიმე თვე სტუმრად იყო ტოლსტოისთან. სამუშაოდ, მათი საჭადრაკო ასპარეზობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. მაგრამ ეჭვს არ ბადებს ერთად ცხოვრების დროს ან ორი დიდი მწერლის საჭადრაკო დაფასთან შეხვედრები.

იასნაია - პოლიანაში სამუდამოდ დასახლების შემდეგ მისი „მოწინააღმდეგეები“ იყვნენ ცნობილი რუსი კომპოზიტორი და პიანისტი ტანეევი, მოოდი, ამჟამად მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი სსრ კავშირის სახალხო არტისტი გოლდენევიჩი და სხვები.

1895 - 96 წლებში ტოლსტოი თითქმის ყოველ საღამოს „ებრძოდა“ ტანეევს საჭადრაკო დაფასთან. შეხვედრები სანაძლეოზე იყო. მოგების შემთხვევაში ტოლსტოი უსმენდა „მოწინააღმდეგის“ დაკვრას ფორტოპიანოზე, ხოლო წაგების დროს ლევ ნიკოლოზის-ძეს უნდა წაეკითხა საინტერესო ადგილი მხატვრული ნაწარმოებებიდან.

ამ ხანებში ტოლსტოი ხშირად თამაშობდა მოოდთან. მათი ერთ-ერთი პარტია, რომელიც ტოლსტოის გამარჯვებით დამთავრებულია, შეტანილია კორდელისა და მინკვიცის ჭადრაკის სახელმძღვანელოში.

ტოლსტოი ჭადრაკს თამაშობდა დიდი გატაცებით, რისკიანად. ხშირად სწირავდა ფიგურებს, შეტევაზე გადადიოდა და იტაცებდა ყოველგვარი კომბინაცია. ამიტომ მეტწილად მარცხდებოდა, მოგების შემთხვევაში ბავშვური აღტაცება იპყრობდა.

ფიგურის აყვანა უყვარდა მაკრატლისებურად, ორი თითით — საჩვენებელსა და შუა თითს შორის მოთავსებით, მტევის ზურგის მხრივ.

ზოგჯერ ისე იყო გატაცებული ჭადრაკით, რომ თავისი ძირითადი საქმეებიც კი ავიწყდებოდა. ცნობილია ასეთი ფაქტი: 1852 წ., სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს საკუთარვე გამოუცხადებლობის გამო ტოლსტოის დაუკარგავს იმ დროის მაღალი ჯილდო — „გიორგის ჯვარი“. ამის მიზეზი, როგორც შემდგომ გამოირკვა, ჭადრაკი ყოფილა.

იასნაია - პოლიანაში დასახლების შემდეგ მისი მთავარი პარტნიორი გოლდენევიჩი იყო. გოლდენევიჩი თავის ცნობილ მოგონებებში — „ტოლსტოისთან ახლოს“, რომელიც ორ ტომად არის გამოცემული, თითქმის ყოველ მხორე მესამე გვერდზე იხსენიებს ჭადრაკს. ატორი დამაჯერებელი სიყვარულით გადმოგვცემს გენიალური მწერლის დიდ სიყვარულს საჭადრაკო ხელოვნებისადმი.


აი, რას წერს გოლდენევიჩი: „ჩვენ სასადილოდან ჭადრაკი ავიღეთ და სასტუმრო ოთახში დავიწყეთ თამაში.“

— მე მთელი ჩემი შესაძლებლობით უნდა ვითამაშო, — მითხრა ლევ ნიკოლოზის-ძემ.

მან პარტია მოიგო და მითხრა: — მე არაჩვეულებრივად ვამაყობ! მეორე პარტია ყაიმით დამთავრდა. ლევ ნიკოლოზის-ძე კმაყოფილი იყო. მან მიამბო, რომ „რეჩში“ ნახა საჭადრაკო ამოცანა, მონახა გაზეთი და მითხრა, რომ მას ამოცანა არასოდეს არ ამოუხსნია და აინტერესებს ამოხსნის პროცესი. მე დაფაზე განვალაგე ორსულიანი ამოცანა და ვუჩვენე“.

მაგიდა, რომელზეც ლ. ნ. ტოლსტოი თამაშობდა ჭადრაკს.

(მოსკოვი. ლ. ნ. ტოლსტოის მუზეუმი).



ტოლსტოი ხშირად, თამაშის დროს, პარტნიორსა და დამსწრეებს მოუთხრობდა საინტერესო ამბებს და თავის სულიერ განცდებს.

საჭადრაკო თეორიაში არ იყო მაინცდამაინც გარკვეული — სულ იცოდა „სამი დებიუტის პირველი სამი-ოთხი სვლა. უფრო დაინტერესებული იყო გამბრტყილ განსაკუთრებით მას მოსწონდა მუციოს გამბრტყილი და ხშირად მოწინააღმდეგეს თხოვდა თამაშის მუციოს გამბრტყილ დაწესებას. ამ მხრივ საინტერესოა ისევე ვიხსენებ ვეიზერის მოგონება:

„ლევ ნიკოლოზის-ძე კუთხეში სავარძელში იჯდა, მის წინ მავილაზე ჭადრაკი იყო. ის მუციოს გამბრტყის ანალიზს აწარმოებდა, არ იყავნდა ცნობილი, არამედ ლაზიერით იხედდა უკან წნ-დან წნ-ზე. ჩვენ დავიწყეთ თამაში. მეტად საინტერესო ცოცხალი პარტია მივიღეთ, რომელიც ლევ ნიკოლოზის-ძემ მოიგო. მე ვუთხარი მას, რომ ეს ჩვენი 599 - ე პარტიაა. გაუკვირდა, რომ მე ამის ფიქსირებას ვაწარმოებდი და არ მოელოდა თუ ჩვენ ამდენი პარტია გვექნებოდა ნათამაშე“.

ტოლსტოისა და გოლდენევიჩის 15 წლის განმავლობაში 700-ზე მეტი პარტია უთამაშნათ. ორთა ბრძოლაში მეტწილად გოლდენევიჩი იმარჯვებდა. ტოლსტოი წაგების შემთხვევაში თავის მეუღლეს ეუბნებოდა: „Он меня негн-жирует“.

ტოლსტოისათვის ჭადრაკი წარმოადგენდა გართობისა და დასვენების საუკეთესო საშუალებას. ხშირად მსჯელობის დროს პარალელს ატარებდა ცხოვრებასა და ჭადრაკს შორის. საინტერესოა ჭადრაკთან დაკავშირებული ტოლსტოის აზრები და აფორიზმები. აი, ზოგი მათგანი.

ტოლსტოიმ ერთი ნაცნობისგან წერილი მიიღო, რომელიც მას მოეწონა და შენიშნა:

„აი, რას ნიშნავს, რომ ჭადრაკს კარგად თამაშობს.“

„როგორც ჭადრაკშია დაუსრულებელი კომბინაციები, ასეა ცხოვრებაშიც, და მხატვრის საქმეა — დაიჭიროს ტიპიური“.

„პასკალი აქვს ნათქვამი:

— რაც უფრო ჭკვიანია ადამიანი, მით უფრო სხვადასხვა ხასიათს ხედავს. ჭადრაკში კი ასეა: კარგი მოთამაშე ყოველგვარ შესაძლებლობას ხედავს პარტიაში, ცუდს კი ჭკონია, რომ ყველა ესენი ერთნაირია“.

## ფიგურები

ხანგრძლივი კვლევის შედეგად ორჯონიკიძის სახელობის საკავშირო კვლევითი ქიმიკო-ფარმაცევტულმა ინსტიტუტმა შექმნა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატი — ფტივაზიდი.

კლინიკურმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ეს ახალი წამალი ჰეპრატის ფილტვის სულ სხვადასხვა სახის ტუბერკულოზს. ფტივაზიდი სწრაფად იძლევა დადებით შედეგებს: ავადმყოფის ტემპერატურა ეცემა, უმჯობესდება სისხლის შემადგენლობა, კლებულობს ხველების შეტევები და ნახველის გამოყოფა, ისობა საერთო სისუსტე. ავადმყოფი მაღაზე მოდის და წონაში სწრაფად მატულობს. ფტივაზიდის გავლენით ხდება სპეციფიკური ტუბერკულოზით დაზიანებული ადგილების განწოვა და ჰქრება მათთან დაკავშირებული ანთებითი მოვლენები ფილტვებში. ამასთანავე ტუბერკულოზის ჩხირების რაოდენობა ნახევარში მცირდება.

ფტივაზიდით პასკისთან და სტრეპტომიცინთან კომბინირებული მკურნალობა უდიდეს ეფექტს იძლევა, ვინაიდან ეს პრეპარატები ტუბერკულოზის კერებში სხვადასხვა გზით აღწევენ.

ახალი პრეპარატი ფილტვების ტუ-

ბერკულოზის გარდა მოქმედებს ხორხისა და სასუნთქო ორგანოების ზემო ნაწილის ქლექის მკურნალობის: მცირდება და ზოგჯერ მთლად ჰქრება ხოლმე სიწითლე, შეშუპება და ინფილტრატული მოვლენები; ავადმყოფს უშუშდება წყლული, უსწორდება ხმა.

დადებითად მოქმედებს ფტივაზიდი ასევე კანის ტუბერკულოზის (მგლურას) მკურნალობაზე. ამ ავადმყოფობით დაავადებული, ფტივაზიდით მკურნალობის შედეგად, ერთ-ორ კვირაში გაუმჯობესებას გრძნობს. ფტივაზიდი კარგად მოქმედებს ლიმფატური ჯირკვლების, თირკმლების, ძვლებისა და სახსრების ტუბერკულოზის მკურნალობაზე, აგრეთვე ტუბერკულოზურ მენინგიტზე.

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ეს ახალი პრეპარატი არ საჭიროებს კანქვეშა ინექციას; მიიღება ის ფხვნილის ან ტაბლეტების სახით (0,3 - 0,5 გრამი ორ-სამჯერ დღეში). საშუალო საშუალო დოზა მოზრდილთათვის დღეში არის 1-დან 1,5 გრამამდე. ავადმყოფი კარგად იტანს მკურნალობის კურსს. ფტივაზიდით მკურნალობა რაიმე უარყოფით გავლენას თითქმის არ ახდენს ორგანიზმზე.

(„ნაუკა ი ჟიზნა“, № 5 1963).

გარეკანის პირველ გვერდზე: ლ. ნ. ტოლსტოი.  
მხატვარი ი. რეპინი

მეოთხე გვერდზე: ქობულეთი. ზღვის პირას.  
ფერადი ფოტო გ. რანჭიძისა

რედაქტორი — გრ. აბაშიძე  
სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვს პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | ფასი 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IX-53 წ. გამომც. № 154 ნაბეჭდი ფურც. 3/4 ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 605 უფ 11363





ვარძია. კვაბთა ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილის ხედი სამხრეთიდან.

მარკსის სახელობის  
საქართველოს  
ბიბლიოთეკა  
ქ. თბილისი

დოქტორ გ. გაფრინდაშვილისა



ფანი 3 836.

ეროვნული  
ზოგადიოთქა

